ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 27 თებერვალი 1997 №22 (387) ფასი 40 თეთრი


## ფედერაციამ ყიფიანის გეგმა მიიღო

ალმასკომის სხდომა 14 საათზე დაიწყო, რომელზეც ჟურნალისტები, რა თქმა უნდა, არ დაგვასწრეს. სჯა-ბაასმა ორ საათზე მეტს გასტანა. სხდომის დამთავრებამ ყველა დაგვაფაცურა — შინაურიც, გარეულიც. ალმასკომის წევრთაგან ზოგმა თავაზიანად გვიპასუხა, ზოგმა სულაც არაფერი გვითხრა. სასაუბროდ არც ყიფიანი გაგვიჩერდა. იმედგაცრუებულ და მწირი ინფორმაციების ამარა დარჩენილ ჟურნალისტებს ფედერაციის პრეს-ცენტრის ხელმძღვანელი მოგვევლინა მხსნელად, რომელმაც ინფორმაციის მოპოვების ყველა მსურველი მესამე სართულზე დაგვიბარა.

იმას, რაც ჩვენთვის ცნობილი იყო, პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა მცირედიც დაუმატა და დაგვემშვიდობა. ისიც უნდა ითქვას, რომ ალმასკომის მსვლელობისას რამდენჯერმე თავაზიანად, მობოდიშებით მოგვმართეს, აქაურობა დატოვეთ და მაღლა აბრძანდითო. მესამე სართულზე ასულებს პრეს-ცენტრმა ეს მოგვახსენა:

— ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გუნდის მომზადების კონკრეტული გეგმა წარადგინა, რომელმაც ალმასკომის მოწონება და მხარდაჭერა დაიმსახურა. ყიფიანმა გუნდის მზადება რამდენიმე ეტაპად დაჰყო და უპირველესად ყურადღება ყოველნაირი ინფორმაციის მოპოვებაზე გაამახვილა. მწვრთნელმა აღნიშნა, რომ ეროვნული გუნდისთვის 42 კანდიდატი ჰყავს შერჩეული. მართალია, შემდგომ ეს რიცხვი შემცირდება, მაგრამ ოპტიმალური შემადგენლობის შესარჩევად მწვრთნელმა ასე ჩათვალა საჭიროდ.

ყიფიანმა ბოძუაშვილის გარდა კიდევ ერთი მწვრთნელი დაასახელა, რომელიც მას დაეხმარება. ეს იქნება ოთარ გაბელია, რომელიც, ალბათ, ძველებურად მეკარეებს გაწვრთნის. ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა ყიფიანს ერთი მწვრთნელის დამატების უფლებაც მისცა. ადმინისტრაციული საქმეების გამგებელი ყიფიანს შეურჩევია და მასაც ამ დღეებში დაასახელებს. ყიფიანმა ისიც თქვა, რომ საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული გუნდები ინგლისს თამაშამდე 5 დღით ადრე ჩავლენ.

ეს ინფორმაცია რომ მოგვაწოდეს, პრეს-ცენტრი დაიხურა და ჩვენც კარებისკენ მიგვითითეს. ეს ღირშესანიშნავი დღეც ჩამთავრდა, მაგრამ საგულისხმო არაფერი გვენიშნა. გარდა იმისა, რომ ყიფიანი ითხოვს, საკითხს აყენებს, ფედერაცია კი ჯერჯერობით ეთანხმება და ყველაფერზე უქნევს თავს. ცოტა არ იყოს, ფედერაციის საქციელი უჩვეულო კია...

**ნაკრების მზადების იმ გეგმას, ყიფიანმა რომ წარუდგინა ალმასკომს, დღევანდელი „სარბიელის" მესამე გვერდზე იხილავთ. მის თაობაზე კი მოკლედ ამის თქმა შეიძლება: როგორიც უნდა იყოს გეგმა, ვრცელი თუ მოკლე, ზოგადი თუ დაწვრილმანებული, საქმიანობაში მთავარი დასახული გეგმის განხორციელების ხარისხია.**

## რა ხდებოდა ალმასკომზე?

ამ კითხვით მივმართეთ ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის წევრს, პარლამენტარსა და „მერანის" პრეზიდენტს ნუგზარ ნავაძეს. იგი, ჩვეულებისამებრ, თავაზიანად დაგვთანხმდა, მოეთხრო სხდომის შესახებ:

— თავდაპირველად გავეცანით დავით ყიფიანის მიერ წარმოდგენილ პროგრამას ნაკრებში მუშაობის თაობაზე. ყიფიანის თქმით, „უემბლისთვის" მზადებას მას გაუადვილებს ის გარემოება, რომ უშუალოდ იხილა ინგლის-იტალიის შეხვედრა. 30 მარტს სომხებთან დანიშნულ მატჩზე კი ის თქვა, რომ სომხეთის ნაკრები ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის და თავის შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიასთან, ჩრდილო ირლანდიასთან და ალბანეთთან ფრედ დასრულებული თამაშები ამის ლოგიკური დასტურია. ასეთი პარტნიორი კი „უემბლიმდე" კარგ სამსახურს გაგვიწევს. ყიფიანი დიდ როლს ანიჭებს მეტოქეთა საფუძვლიან შესწავლას, ისევე როგორც ჩვენი ლეგიონერების უშუალოდ საქმეში ნახვას და ამგვარად მათ გაკონტროლებას. ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ხაზი გაუსვა დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, რის გამოც უკვე მრავალგზის დავზარალდით და აი, ინგლისთან ვერ წავიყვანთ კალაძესა და დემეტრაძეს.

სხვათა შორის, პრესის თაობაზეც იყო საუბარი. გაზეთებში ხშირად სწორად აანალიზებენ მოვლენებს და ჟურნალისტთა მოსაზრებებს ანგარიში უნდა გაეწიოს. ყოველ შემთხვევაში, პრესის აზრი გათვალისწინებული იქნება. ამით გადაიდგმება ნაბიჯი მედიასთან სათანამშრომლოდ. ყიფიანის თქმით, ამას გარკვეული სახე უნდა მიეცეს, საამისოდ კი იგი თვეში ერთხელ დროს გამონახავს ჟურნალისტებთან შესახვედრად. ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი გამოთქვა.

ყიფიანს პრობლემად ესახება შეკრებებზე ლეგიონერების დროულად ჩამოსვლა. ამის გამო ზოგჯერ ძნელდება მწვრთნელის მუშაობა, ეს კი საბოლოოდ შედეგებშიც აისახება.

ნაკრების ეკიპირების თაობაზეც იყო ლაპარაკი. ნაკრებს ამ საქმეში გერმანული „ადიდასი" ეხმარება, მაგრამ გერმანელები კატეგორიულად მოითხოვენ, რომ ნაკრების თამაშებზე ყველა მოთამაშემ მხოლოდ „ადიდასის" ბუცები ჩაიცვას.

განსაკუთრებულად გამახვილდა ყურადღება მოთამაშეთა ფსიქოლოგიურ მომზადებაზე. თუ გუნდი მობილიზებულია და შემართებით თამაშობს, ის არ წააგებს, და თუ წააგებს, ამ მარცხს სამარცხვინოდ არავინ მიიჩნევს.

გარკვეული ადგილი ნაკრების ფინანსურ უზრუნველყოფასაც დაეთმო. ახალკაცის თქმით, ყიფიანის მოთხოვნები შეიძლება ბოლომდე ვერ დაკმაყოფილდეს, მაგრამ ნაკრებს მოსამზადებლად კარგი პირობები რომ ექნება, ეს უეჭველია. ფეხბურთელებს მოგებისას ნორმალური პრემიები უნდა მიეცეთ, თუმცა ისიც ითქვა, რომ განსაკუთრებული ოდენობის თანხის მოთხოვნა მიზანშეუწონელია. ახალკაცმა თქვა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შემთხვევაში ნაკრები 3 მილიონ დოლარს მიიღებს. თუ ასე მოხდა, ნაკრების წევრებიც საკმაოდ იხეირებენ.

ცნობილია, რომ ინგლისთან ჩვენს შეხვედრას ბელგიელ მსაჯთა ბრიგადა მოემსახურება. ახალკაცმა აღნიშნა, რომ ევროპის მოწინავე ნაკრებებსა და გუნდებში მნიშვნელოვანი მატჩებისთვის მზადებისას თითოეულ ნიუანსს დიდ ყურადღებას უთმობენ. მათ შორის მსაჯის თვისებებსაც. ზოგიერთი მსაჯი შედარებით მკაცრია, ხისტი თამაშის საშუალებას იძლევა. ამას ჩვენც უნდა მივაქციოთ ყურადღება კონკრეტულად ინგლისელებთან თამაშის წინაც და სხვა შემთხვევაშიც. მსაჯთა თვისებების შესწავლა ერთობ მნიშვნელოვანი საქმეა. ამის გათვალისწინებით, ნაწილობრივ, ნაკრების თამაშიც შეიძლება აიგოს.

ყიფიანს ინგლისში უკვე შეუგულებია მყუდრო სასტუმრო. 26-29 აპრილს ჩვენები სასტუმროსთან ახლომდებარე სტადიონზე ივარჯიშებენ, 29 აპრილს, საღამოს რვა საათზე, თამაშამდე ზუსტად ერთი დღით ადრე კი „უემბლიც" დაეთმობათ. ახალკაცის რჩევა იყო, რომ 25 აპრილს, ჩვენების ინგლისში ჩაფრენის დღესვე ნაკრებმა ერთი ვარჯიში ჩაატაროს.

„დინამოს" პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ დილმის საწვრთნელ ბაზაზე განათებისა და გათბობის საკითხები გვარდება და მალე ნაკრებს ეს პრობლემა აღარ შეაწუხებს.



## მოგებაც შეგვეძლო...

### საქართველო — საბერძნეთი 61:65

იხილეთ მეშვიდე გვერდი

## ტოტოზე ასე იქნება




ინტერტოტოს თასზე მონაწილეთა რაოდენობა გაირკვა. ივნისსა და ივლისში, ამ შეჯიბრებაში, რომლის სამი საუკეთესო გუნდი უეფას თასის გათამაშებაში ჩაერთვება, ოცდაცამეტი ქვეყნის სამოცი კლუბი ჩაერთვება. მონაწილეობაზე უარი განაცხადეს ინგლისმა, იტალიამ, ესპანეთმა, პორტუგალიამ, შოტლანდიამ, ლუქსემბურგმა, უკრაინამ, ალბანეთმა და აზერბაიჯანმა. ყველაზე მეტი, ოთხ-ოთხი გუნდი ეყოლებათ საფრანგეთს, გერმანიასა და ბელგიას, ხოლო რუსეთი, თურქეთი, ავსტრია, იუგოსლავია და დანია სამ-სამ მონაწილეს მიავლენენ.

## ფუტბოლ

ამხანაგური მატჩები:

**ისრაელი — გერმანია 0:1**
ვოში (85)

**ჩეხეთი — ბელარუსი 4:1**

**საფრანგეთი — ჰოლანდია 2:1**
პირესი (74), ლოკო (83); ბერხკამპი (3)

პრემიერლიგა. გამოტოვებული მატჩი

**საუთჰემპტონი — უიმბლდონი 0:0**

ინგლისის ლიგის თასი. ნახევარფინალი.

**სტოკპორთი — მიდლსბრო 0:2**

ინგლისის თასი. მეოთხედფინალი

**ჩელსი — ლესტერი 1:0 (დ. დ.)**

ესპანეთის თასი. მეოთხედფინალი

**ატლეტიკო — ბარსელონა 2:2**

**ბეტისი — რაიო ვალეკანო 2:0**

## მომწონს, არ მომწონს...

მოგეხსენებათ, გუშინწინ თასის მეოთხედფინალის წილისყრა და ალმასკომის სხდომა იყო დანიშნული. ვიფიქრეთ, წილისყრას მაინც დაგვასწრებენო, მაგრამ მოვტყუვდით. ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა იმედზე ცივი წყალი გადაგვასხა — წილისყრაზე მხოლოდ „ქართული ფეხბურთი" და ტელევიზია შევაო. რაღა დაგვრჩენოდა, გარეთ, დერეფანში გავჩერდით. ცოდვას ვერ ვიტყვით, წილისყრა ზუსტად 13 საათზე დაიწყო ფედერაციის გენერალური მდივნის დავით კვინიკაძის შედარებით ნორმალურად მოწყობილ ოთახში. ლოდინი დიდხანს არ დაგვჭირვებია, მალე „მარგვეთის" პრეზიდენტი ვასილ ხაჭაპურიძე გამოვიდა იქიდან და წილისყრის შედეგებიც შევიტყვეთ:

აღმოსავლეთი

სიონი — დინამო

მერანი — შევარდენი

დასავლეთი

ბათუმი — კოლხეთი

ოდიში — მარგვეთი

პირველი შეხვედრები 5 მარტს გაიმართება, საპასუხოები კი 10 მარტს. წილისყრის შედეგების კომენტარი კლუბების წარმომადგენლებს ვთხოვეთ.

ფოთის „კოლხეთის" დირექტორთა საბჭოს წევრი ვახტანგ ხაინდრავა მაინცდამაინც აღფრთოვანებული არ იყო.

— ძლიერი მეტოქე გვყავს, გამოცდილი და მომზადებული. ორივე გუნდს შემდეგ წრეში გასვლის თანაბარი შანსი გვაქვს. რაც შეეხება წილისყრის ტერიტორიული პრინციპით მოწყობას, ამ ეტაპზე გამართლებულია. მართალია, ეს ჩვენთვის მაინცდამაინც ხელსაყრელი არაა, მაგრამ სხვა გუნდების მდგომარეობიდან გამომდინარე ასე აჯობებს.

იმის გამო, რომ „ბათუმი", თავის ხელმძღვანელებიანად, თურქეთშია შეკრებაზე, კენჭისყრაზე ბათუმელთა პრესატაშე ჟანი ქავჟარაძე ჩამოვიდა.

— ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, „კოლხეთს" შევხვდებოდით, „მარგვეთს" თუ „ოდიშს". ყველაფერს ის აჯობებდა, პირველი მატჩი სტუმრად გვქონოდა.

„მერანის" მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე:

— ძალიან ძნელი მატჩი მოგველის. „შევარდენი" ახალგაზრდული, პატივმოყვარე გუნდია და სრული მობილიზაცია დაგვჭირდება ჩვენთვის სასურველი შედეგის მისაღწევად. რა თქმა უნდა, „დინამოსთან" შეხვედრა არ გვინდოდა. პრაქტიკულად, „სიონსა" და „შევარდენს" შორის დიდი სხვაობა არც არის. ერთი კი ფაქტია — რაიონში თამაშს თბილისში თამაში სჯობს.

„სიონის" მთავარი მწვრთნელ ანზორ გძელიძისთვის წილისყრას ფორმალური მნიშვნელობა თუ ექნებოდა. „სიონიდან" 10 ფეხბურთელი წავიდა, შემატებულთა უმეტესობა კი ისეთია, თასის გათამაშებაში თავიანთ ადრინდელ კლუბებში რომ გაისარჯნენ და დებულებით „დინამოს" წინააღმდეგ ვერ გამოვლენ...

— ჩვენ კი ვითამაშებთ, თავს არ დავზოგავთ, მაგრამ „დინამოს" რა უნდა დავაკლოთ. ახლა იმაზე ვფიქრობ, 11 მოთამაშეს მოვუყარო თავი.

წილისყრიდან საკმაოდ კმაყოფილი გამოვიდა ზუგდიდის „ოდიშის" ორი წარმომადგენელი. კლუბის ტექნიკურ დირექტორს ჯემალ გოგიას ეს არც დაუფარავს, თუმცა „ოდიშის" ერთ-ერთი ხელმძღვანელის ვანო ქარდავას თქმით, მთლად არხეინადაც ვერ იქნებიან...

— ახლა ყველა გუნდის მწვრთნელი იმას იძახის, ვიშლებით, გვიჭირსო, მაგრამ როცა საქმე კონკრეტულად თამაშზე მიდგება, ყველა გულიანად გეთამაშება, მითუმეტეს „მარგვეთი", რომელსაც, ვფიქრობ, კიდევ აქვს საკმაო პოტენცია შერჩენილი. მოკლედ, ერთი მატჩის მაღალ დონეზე თამაში ყველას შეუძლია. სხვათა შორის, ჩვენ გათამაშების ტერიტორიული პრინციპით ჩატარების წინააღმდეგი ვიყავით. ეს არასწორად მივიჩნიეთ, მაგრამ მხარი თითო-ოროლამ თუ დაგვიჭირა და რაღა უნდა გვექნა, ჩვენც დავყაბულდით.

ვასილ ხაჭაპურიძე, „მარგვეთის" პრეზიდენტი:

— კენჭისყრით კმაყოფილი ვარ. „ოდიშთან" მოგების შანსი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე „კოლხეთთან" და „ბათუმთან".

# „ოდიში" ბოდიშებს აღარ აპირებს

**ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის მეორე ნახევარი შაბათს პირველი წრის გამოტოვებული მატჩით იწყება: ზუგდიდში „ოდიში" „დინამოს" უმასპინძლებს. თბილისელთა შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, ამ წერილში კი ზუგდიდელთა დღევანდელ მდგომარეობასაც გავეცნოთ.**

ხელწამოსაკრავ გუნდად ზუგდიდის „ოდიში" არასდროს ითვლებოდა. პირველი ეროვნული ჩემპიონატის დაწყებიდან ოთარ გაბელიას ხელმძღვანელობით გუნდი თანდათან ძლიერდებოდა, მაგრამ შემდეგ „ოდიში" ძლიერმა ფეხბურთელებმა დატოვეს, გაჩნდა სხვა პრობლემებიც და გუნდი აუტსაიდერად იქცა, თუმცა მაშინაც კი ყველასთვის ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა. მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა ზუგდიდელთა თავმოყვარეობას, ისინი მეტს მოითხოვდნენ და ბოლოს, როგორც იქნა, ფინულიც დაიძრა...

ჯერ ახალგაზრდა პოლიტიკოსმა ბექან გუნავამ ითავა გუნდის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარება, შემდეგ მას წარჩინებული ბიზნესმენი ვახტანგ ნანავა შეენაცვლა და გუნდში დამკვიდრებულ უიმედობასაც ბოლო მოეღო. კლუბის ხელმძღვანელობაში ახალი ხალხის მისვლამ ნაყოფი გამოიღო და ოდიშელებმა კვლავ წარმატებებზე დაიწყეს ფიქრი.

სიტყვა გამიგრძელდა. უმჯობესია კონკრეტულ საქმეზე გადავიდე. გთავაზობთ საუბარს „ოდიშის" მთავარ მწვრთნელთან და მოთამაშეებთან.

### მურთაზ ხურცილავა



**— როგორ მიდის გუნდის მეორე წრისათვის მომზადების საქმე?**

— პირველი წრის შემდეგ გუნდში არეულობა სუფევდა, ბოლო მომენტამდე გაურკვეველი იყო, ვინ იქნებოდა ახალი პრეზიდენტი. გარდა ამისა, ნორმალური მოსამზადებელი პირობებიც არ გვქონდა და რა აზრი ჰქონდა ვარჯიშის დაწყებას? ამიტომაც იყო, 10 იანვრის ნაცვლად 25-ში რომ შევიკრიბეთ. თანაც, მაშინაც ვერ მოვუყარეთ თავი სრულ შემადგენლობას — ფეხბურთელთა უმეტესობა მხოლოდ 12 თებერვალს შემოგვიერთდა. ასეთ პირობებში, დამეთანხმებით, ძნელია ნაყოფიერად მზადება, მით უფრო, რომ 1 მარტს გამოტოვებული შეხვედრა გვაქვს ჩასატარებელი „დინამოსთან". თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, ბიჭები მონდომებულნი არიან, რამდენიმე ამხანაგური შეხვედრაც ჩავატარეთ და ვნახოთ, აწი როგორ იქნება საქმე.

**— ახალი პრეზიდენტის მოსვლით გუნდში ბევრი რამ შეიცვლებოდა. ფინანსურ მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— დღესდღეობით ფინანსური პრობლემები ძირითადში მოგვარებულია. უახლოეს მომავალში კი, ალბათ, ყველაფერი საბოლოოდ გამოსწორდება.

**— რა ცვლილებებია გუნდში?**

— მნიშვნელოვანი არაფერი. „ოდიში" პოლონეთის „რუხში" გადასულმა მამია ჯიქიამ დატოვა. სამაგიეროდ, ყველასთვის კარგად ნაცნობი ოთარ კორღალიძე მოვიწვიეთ. კიდევ რამდენიმე ადგილობრივი ფეხბურთელის გასინჯვასაც ვაპირებთ.

**— გულშემატკივრები „ოდიშისგან" ევროპის საგზურის მოპოვებას ელიან, ნაკლებზე თანახმანი არ არიან!**

— მინდა სწორად გამიგოთ. ძლიერი გუნდი უცებ არ კეთდება. საამისოდ დროა საჭირო. ჯერჯერობით ჩვენთვის მთავარი მიზანი გუნდის დაბალანსებაა, ბიჭები ერთმანეთში უკეთ უნდა შეთამაშდნენ, რათა მომავალი სეზონისთვის მყარი საფუძველი შევქმნათ. თუმცა, არც წლეულს არის გამორიცხული „ოდიშის" უეფას ან თასების თასზე თამაში.

**— ნაკრების მწვრთნელობაზე უარი რატომ თქვით?**

— ღვისათვის თავს არ ვთვლიდი მზად ამ თანამდებობაზე სამუშაოდ. ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელობა ერთმანეთისგან დიდად განსხვავდება. თანაც, რაც იმ დღეს ალმასკომის სხდომაზე მოხდა, ძნელია მწვრთნელის დანიშვნა ვუწოდო.

**— სხვათა შორის, თქვენ ჩივაძის გადადგომის წინააღმდეგი იყავით.**

— დიახ, და მიზეზსაც მოგახსენებთ. როგორც ზემოთ ვთქვი, ნაკრებში მუშაობა კლუბში მუშაობისგან ბევრით განსხვავდება. ნაკრების მწვრთნელობის გამოცდილება ჩვენში არავის გააჩნდა. ჩივაძე, ასეა თუ ისე, გაერკვა ამ საქმეში და გარკვეული გამოცდილებაც შეიძინა, ახალ მწვრთნელს კი, ფაქტობრივად, ყველაფრის ახლიდან დაწყება მოუწევს. ეს, ჩემი აზრით, დროის ფუჭად კარგვაა. ამ შესარჩევი ციკლის ბოლომდე ჩივაძის დარჩენას ამიტომაც ვუჭერდი მხარს.

**— ჩივაძისდროინდელ ნაკრებში არცერთი ოდიშელი არ თამაშობდა. ჯერჯერობით არ ვიცით, აპირებს თუ არა ყიფიანი ზუგდიდიდან ვინმეს მოწვევას. როგორ ფიქრობთ, არიან „ოდიში" ნაკრების ღირსი ფეხბურთელები?**

— ვის მიიწვევს ნაკრებში და ვის არა, ეს მხოლოდ ყიფიანის გადასაწყვეტია. „ოდიში" — „დინამოს" შეხვედრისას ყიფიანი საქმეში ნახავს ოდიშელებს. მე ვთვლი, რომ ჩემი შეგირდებიდან 2-3 ფეხბურთელი ნამდვილად იმსახურებს ნაკრების ხელმძღვანელთა ყურადღებას.

**— ბარემ აქვე ინგლის-საქართველოს შეხვედრაზეც ვისაუბროთ. თქვენი აზრით, რა შანსი აქვთ ჩვენებს „უემბლიზე" და, საერთოდ, ქვესაგუფში რისი იმედი უნდა გვქონდეს?**

— პესიმისტი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, ნაკრებს არანაირი შანსი არ დარჩენია საფრანგეთში მოსახვედრად. ჩვენს უშუალო მეტოქეებთან უკვე დავმარცხდით. ჩემი აზრით, ნაკრებმა ჯერ უნდა მიაგნოს საკუთარ თამაშს, მისეულ სტილსა და ხელწერას, რომელიც დღესდღეობით არ გაგვაჩნია. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ჩვენში ფეხბურთი იღუპება, კატასტროფის წინაშე ვდგავართ: მაყურებელი სტადიონებზე არ დადის, გუნდებს ელემენტარული საწვრთნელი პირობები არ გააჩნიათ, პრობლემაა ფეხბურთელთა კვება, ზოგ გუნდს არა აქვს ხეირიანი სათამაშო ფორმა, ბურთები და ამ დროს ჩვენ გვინდა მოვძებნოთ თერთმეტი ქართველი ფეხბურთელი და „უემბლიზე" ინგლისელები და „სან სიროზე" იტალიელები დავამარცხოთ. ეს ხომ უტოპიაა. შესარჩევ ქვეჯგუფში ჩვენი ნაკრების შედეგი საქართველოს საფეხბურთო მეურნეობის ხარისხის პირდაპირპროპორციულია. ჯერ შინაურ ჩემპიონატსა და ჩვენებურ კლუბებს მივხედოთ და მერე დიდი გამარჯვებებიც იქნება.

**— საკმაოდ მძიმე სურათი დაგვიხატეთ. ნუთუ ამ ეტაპზე არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს?**

— იმედი ღმერთმა არ მოგვიშალოს, მაგრამ ფეხბურთს უფრო სერიოზული მიდგომა სჭირდება. მრავალი საჭირბოროტო საკითხი მთავრობის დონეზე უნდა გადაწყდეს, უფრო მიზანმიმართული და რეფორმისტული უნდა გახდეს ფეხბურთის ფედერაციის მუშაობა. სხვაგვარად მდგომარეობა არ შეიცვლება. აუცილებელია პირველი ჯგუფის გუნდების რაოდენობის შემცირება, ოპტიმალურად 10-12-გუნდიანი ჩემპიონატი მიმაჩნია. უფრო მეტად უნდა ამაღლდეს მსაჯობის დონე და ამისთვის საჭიროა გაუმჯობესდეს მსაჯთა მატერიალური მდგომარეობა და მათი უსაფრთხოება მატჩისას და მატჩის მერეც. ჩვენს ფეხბურთში მსაჯები ყველაზე დაუცველნი არიან. მიკვირს, რამდენს უძლებს ეს ხალხი.

**— „ოდიშის" ახალ პრეზიდენტზე რას გვეტყოდით?**

— ვახტანგ ნანავა ზუგდიდელი კაცია. დიდი ხანია ვიცნობ, ახალგაზრდა, ენერგიული და გონიერი ადამიანია და ფეხბურთშიც კარგად ერკვევა. კლუბში მისი მოსვლა დროული იყო და ყველას მისი დიდი იმედი გვაქვს. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ქალაქის ხელმძღვანელობას, აქაურ მეცენატებს, ყველას, ვინც მხარში გვიდგას. მინდა გამოვყო ლერი ჭითანავა, რეგიონალური ოლიმპიური კომიტეტისა და ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი ოთარ ჭითანავა, ფეხბურთის ფედერაციის მდივანი ცაცა შელია, რა თქმა უნდა, ბონდო ჯიქია. აი, ძირითადად, ეს ხალხი პატრონობს „ოდიშს". განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსნი არიან „ოდიშის" გულშემატკივრები — ჩვენს ვარჯიშებს იმდენი ხალხი ესწრება, ზოგ ქალაქში თამაშზეც არ დადის ამდენი.

**— კლუბთან თქვენს კონტრაქტზეც გვითხარით...**

— ჯერჯერობით ერთწლიან კონტრაქტზე მაქვს ხელი მოწერილი. შემდეგ ვნახოთ. მოგეხსენებათ, თითქმის ყველა მწვრთნელი „მომთაბარე" ცხოვრებას ეწევა და კაცმა არ იცის, ხვალ რა იქნება.

**— ამდენი მოგზაურობით ალბათ დაიღალეთ კიდეც...**

— ოდნავ დაღლას კი ვგრძნობ, მაგრამ უაზროდ და უსაქმოდ ცხოვრება ჩემი სტიქია არ არის.

**— სხვა ქვეყანაში მუშაობის სურვილი არ გქონდათ თუ არავის მოუწვევიხართ?**

— მიწვევები იყო და ახლაც მაქვს, მაგრამ მე ქართული ფეხბურთი, საქართველო და ყველაფერი ქართული მიყვარს. აქედან არსად წამსვლელი არ ვარ. სწორად გამიგეთ — ვინც საქართველოდან წავიდა, არავის ვამტყუნებ. ღმერთმა დამიფაროს! მათ თავის გზა და საქმე აქვთ, ყველა თავისი ჭკუა-გონებით სჯის. მე კი ჩემმა „მსაჯულმა" აქაურობა „მომისაჯა".

**— ბედნიერი კაცი ხართ?**

— დიახ, ნამდვილად ბედნიერი ვარ. მსოფლიო მოვიარე და სადაც კი ვყოფილვარ, მუდამ ხალხის დაფასებას ვგრძნობდი. უამრავი მეგობარი მყავს, შესანიშნავი ოჯახი, მოსიყვარულე მეუღლე, შვილები, შვილიშვილები...

**— თქვენი მეუღლე თუ იტყვის იგივეს? თქვენ ხომ ხშირად ოჯახს მოწყვეტილი ხართ...**

— დარწმუნებული ვარ, იგივეს იტყვის. ჩვენ დიდი ხნის წინ, 1965 წელს შევუღლდით, იგი მაშინ 18 წლისა იყო და აგერ უკვე 32 წელიწადია, ერთად და სიყვარულით ვცხოვრობთ...

...ამ დროს სატელეფონო ზარი გაისმა. ხურცილავამ ბოდიში მოგვიხადა, თბილისიდან, ოჯახიდან უნდა დაერეკათო.

...ხისტი მოთამაშე და მკაცრი მწვრთნელი ერთბაშად მოლბა, მეუღლესა და შვილებს მოესიყვარულა, ბოლოს კი, პატარა მურთაზის (რომელიც ხულ 5 დღისაა) სუნთქვა მაინც გამაგონეთო, ითხოვა.

ჩემს ბლოკნოტში ჩავიხედე. ყველა კითხვაზე პასუხი მიღებული მქონდა და ვარჩიე ოჯახური საუბრისთვის ხელი აღარ შემეშალა. მასპინძელმა უსიტყვოდ მოგვიბოდიშა. მისი ფიქრები ახლა სხვაგან იყო. თავისი პატარა სეხნიის, ხუთიოდე დღის შვილიშვილის „ალუს" უსმენდა. ღმერთმა გაუზარდოს!

ესეც თქვენი მკაცრი და მომთხოვნი, უკარება მწვრთნელი.

თურმე რაოდენ სენტიმენტალური და ლირიკული ყოფილა მურთაზ ხურცილავა.

კაცი, რომელსაც პროფესიულად ევალება სიმკაცრე და მომთხოვნელობა. სხვაგვარად საქმეს ვერ გააკეთებ.

### ოთარ კორღალიძე

**— ხანგრძლივი კარიერის მანძილზე სად აღარ გითამაშიათ ჩვენშიც და უცხოეთშიც. ახლა მოულოდნელად „ოდიში" აღმოჩნდით...**

— კარიერის დასრულებას „გურიაში" ვაპირებდი, მაგრამ, მოგეხსენებათ, გუნდი თითქმის დაიშალა, მე კი ასეთი ფინიში არ მსურდა, თუმცა ერთი ხანობა შევეგუე ამას და აღარც ვვარჯიშობდი. სწორედ ამ დროს შემეხმიანენ ზუგდიდიდან და გამიჩნდა შანსი, ბოლო სიტყვა მეთქვა ფეხბურთში. ჩემი „ოდიში" გადმოსვლის მეორე მიზეზი თავად მურთაზ ხურცილავა იყო. კარგად ვიცი მისი პროფესიული შესაძლებლობანი, მიმუშავია მასთან, მჯერა, რომ ის კიდევ ბევრს მიაღწევს და თუ ამაში ჩემი წვლილიც იქნება, მოხარული ვიქნები.

**— აქაური პირობები თუ გაკმაყოფილებთ?**

— მე პროფესიონალი ფეხბურთელი ვარ, ფეხბურთი ჩემი საარსებო წყაროა, ასე რომ, თუ არა კარგი პირობები, არც ჩამოვიდოდი. იმ ასაკში აღარა ვარ, დაპირებებით ვიკვებო.

**— 36 წლისას ხომ არ გაგიჭირდა თითქმის შვილისტოლებთან შეთამაშება?**

— 36 წლის კი ვარ, მაგრამ თავს 10 წლით უმცროსად ვგრძნობ. საკუთარი თავის იმედი რომ არ მქონოდა, აქ არც ჩამოვიდოდი. სულაც არ მინდა, ჩემი საფეხბურთო ავტორიტეტი ხელის ერთი დაკვრით დავკარგო. თანაც აქ ძველი მეგობრები დამხვდნენ — ჭედია და ფანცულაია.

### სოსო ჭედია

**— როგორ არის საქმე „ოდიში"?**

— კარგად, ისე, როგორც არასდროს. ჩვენი სატურნირო მდგომარეობა და ფსიქოლოგიური განწყობა უკეთესიც იქნება, თუ 1 და 14 მარტს წარმატებით ვეთამაშეთ თბილისის „დინამოს" და „ბათუმს". აღზევება მერე ნახეთ. მოკლედ, საქმე უკეთესობისკენ მიდის.

**— ბათუმელებისა და თბილისის დინამოელების [illegible] „ოდიში" [illegible] ნაკლებ [illegible] აქვს [illegible] მეტოქეებთან მძიმე მატჩების წინ როგორ [illegible] ზუგდიდელთა დაცვა, [illegible] როგორ ფორმაში ხართ?**

— პირველი წრის დასაწყისისთვის სრულად შეუთანხმებელნი ვიყავით, მეორე წრეში კი, ცხადია, უფრო შეთანხმებულად ვიმოქმედებთ. თუმცა, ეს ყველაფერი მალე, ამ ორ კვირაში გამოჩნდება. მცველებსაც, მეკარეებსაც, ნახევარმცველებსაც, თავდამსხმელებსაც, მწვრთნელებსაც და გულშემატკივრებსაც დიდი გამოცდა გველის.

### ვალტერ გუჩუა

**— შენ ისევ „ოდიში" ხარ, არადა, თითქოს არ აპირებდი დაბრუნებას...**

— მინდა ყველამ იცოდეს, განსაკუთრებით ზუგდიდელებმა, რომ ბევრმა არასწორად გამიგო, როცა ვთქვი, ზუგდიდში აღარ დავბრუნდები-მეთქი. ამის თქმისას ვგულისხმობდი იმას, რომ „ოდიში" მანამ არ დავბრუნდები, სანამ იქ კლუბის მაშინდელი პრეზიდენტი გუნავა იქნებოდა. არავითარი პრეტენზია მთლიანად კლუბისა და ქალაქის მიმართ არ მქონია და არც ახლა მაქვს. პრეტენზია კი არა, ჩემგან ყველას — თანაგუნდელებს, მწვრთნელებს და გულშემატკივრებს დიდი მადლობა ეკუთვნით თანადგომისთვის. მე მუდამ მქონდა იმის იმედი, რომ აქ გამიგებდნენ და ამიტომაც გამოვეშურე ისევ „ოდიში". თანაც, მე მართალი ვარ და ესაც მაგულიანებს. ჩემს ერთგულებას კი თამაშით დავუმტკიცებ ყველას. ვგრძნობ, რომ საკმაოდ კარგ ფორმაში ვარ.

**— ჩვენ კი გვეგონა, გუჩუა უკვე ალანიელიაო...**

— „ალანია" ჩემთვის უსიამოვნო მოგონებაა. წარმოიდგინეთ, კონტრაქტზე ხელი უკვე მოწერილი მქონდა, თითქოს ყველაფერი მოგვარებული და გადაწყვეტილი იყო და უცებ... მოდით, ამაზე ნულარ ვისაუბრებთ. ერთს ვიტყვი მხოლოდ: ჩემი იქიდან წამოსვლის მიზეზი არასპორტული იყო, თანაც მე არაფერ შუაში ვიყავი, უბრალოდ, გაუგებრობის მსხვერპლი გავხდი. გაზაევი ფრიად კმაყოფილი იყო ჩემი თამაშის ხარისხით. ერთმანეთს მომავალი თანამშრომლობის იმედით დავცილდით და არა მტრულად. ისე, იქაური პირობები თუნდაც აქ ზუგდიდში რომ მოგვცა, რუსეთის ჩემპიონსაც კი არ დავუდებდით ტოლს.

### გულშემატკივარი

სახელი, გვარი — გელა გუჩუა

მეტსახელი — „ჭაჭი"

დაბადების წელი — 1966

გულშემატკივრობის სტაჟი — ლამის აკვნიდან, 1967 წლიდან

დისლოკაციის ადგილი — ზუგდიდის ცენტრალური სტადიონის მისადგომები. მატჩის დროს — მე-5 სექტორი, „ჯუნგლებში".

რეალობა — „ოდიში" უჭველად ითამაშებს ევროტურნირზე

ოცნება — მატჩი „ოდიშის" მასპინძლობით გახდეს ცენტრალური მთელი საქართველოსათვის.

პრობლემა — ევროტურნირების გასვლით მატჩებზე დასწრება.

მისი მოგვარების გზა — ახლობელ-ნათესავები, საკუთარი ქონების, მათ შორის მაღაზიის გაყიდვა. უკიდურეს შემთხვევაში — ვალები, თუნდაც „პროცენტიანი".

**რომან ბაბისონია**



„ოდიშის" კარის მცველები მამუკა აბუსერიძე და გიორგი გაბელია


**იყიდება**

მოქმედი სტომატოლოგიური კაბინეტი ვაკეში, ბარნოვის ქუჩაზე

99 60 28 ან 39 39 67

**გინდათ, სამ თვეში უცხო ენას დაეუფლოთ?**

ERC

მიაკითხეთ, „ელიტა — ხკ"-ს თქვენ აქ შეგიძლიათ ინგლისური, გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული, არაბული, რუსული და ქართული (უცხოელთათვის) ენების სწავლა. ჯგუფებში 5-5 სტუდენტია და მეცადინეობები ყოველდღე ტარდება, შაბათ-კვირის გარდა სტუდენტისათვის ხახურველ ადგილზე და მისაღებ დროში.

მოაკითხეთ „ელიტა ხკ"-ს ოფისს მეტრო დელისთან, ვაჟა-ფშაველას 44-ში, ან დარეკეთ 39-87-25

# ფანცულაიას ცესკაში?

ცესკას პრეს-ატაშემ ვიქტორ კოზირევსკიმ გვაცნობა, რომ სადირინი სერიოზულად დაინტერესდა „ოდიშის" თავდამსხმელის მამუკა ფანცულაიას ცესკაში გადაყვანით. მას შემდეგ, რაც არმიელთა გუნდის მწვრთნელყოფილმა ტარხანოვმა 10 ფეხბურთელი თან წაიყვანა, სადირინი, ფაქტობრივად, ახალი გუნდის ჩამოყალიბებას შეუდგა. ცესკას მწვრთნელს კვიპროსის შეკრებაზე ძალიან მოსწონებია ნუგზარ ლობჟანიძე, რომელსაც მალე კონტრაქტს გაუფორმებს, თავდასხმის გაძლიერება კი ფანცულაიას შემატებით გადაუწყვეტია.

# გიორგი ანჩაბაძე: დანია თუ ნორვეგია?

„დინამოს" პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას თქმით, გუშინ გიორგი ანჩაბაძე მოსკოვს გაემგზავრა. დღეს მოსკოვს თავად ჟორდანიაც ჩავა, რათა ანჩაბაძე კვიპროსს მიავლინოს, სადაც ტალინის „ფლორას" პრეზიდენტი აივარ პოლაკი ჩვენებურს დანიურ ან ნორვეგიულ კლუბს გამოუძებნის.

# ბოსმანის წესი ჩვენშიც ამოქმედდება?

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომამდე I ჯგუფის გუნდების პრეზიდენტთა შეხვედრა გაიმართა. „მერანის" პრეზიდენტის ნუგზარ ნავაძის თქმით, შეკრება მერაბ ჟორდანიას ინიციატივით ჩატარდა: „დღემდე ევროთასებზე მონაწილე გუნდების თამაშების ტელეგადაცემების უფლების გაყიდვა ინდივიდუალურად ხდებოდა. ჟორდანიამ კი დააყენა საკითხი, რომ ამიერიდან ეს სფფ-ს თაოსნობით განხორციელდეს. ამით გამოირიცხება ახლანდელი პრეცედენტები, როდესაც საერთაშორისო ურთიერთობებში გამოუცდელი გუნდების ხელმძღვანელები ტელეტრანსლაციის უფლებას ღირებულზე იაფად ჰყიდიან. ერთი ორგანიზაცია უკეთ გაუწევს კონტროლს ამ საქმეს, შეცდომასაც ნაკლებს დავუშვებთ და ქართულ ფეხბურთსაც დავეხმარებით. მალე შემუშავდება ჩვენი სამოქმედო გეგმა და შეიქმნება დირექტორთა საბჭო, რომელმაც ეს საკითხები უნდა განაგოს. დღევანდელ შეხვედრას მიზნად მხოლოდ საერთო აზრის ჩამოყალიბება ჰქონდა. იყო ასეთი მოსაზრებაც — ტელეტრანსლაციიდან მიღებული თანხის 20 პროცენტი გაჭირვებულ გუნდებს მოხმარდეს. ჩემი აზრით, ეს ისევ „დინამოს" წაადგება, რადგან კონკურენტების არყოლის გამო თავად ზარალდება.

ჟორდანიამ სხვა საკითხიც წამოჭრა. იგი საქართველოში „ბოსმანის წესის" დანერგვის მომხრეა. მის თანახმად, კონტრაქტის დამთავრების შემდეგ გუნდმა მოთამაშეში კონპენსაცია აღარ უნდა მოითხოვოს. ეს წინადადება ჩვენთვის მისაღებია.

შეხვედრაზე არც უეფას მოთხოვნა დარჩა ყურადღების გარეშე. უეფა გუნდების სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებად გადაკეთებას ითხოვს. ასეთი კი დღეს საქართველოში ბევრი არ არის — „დინამო", „მერანი", „ტორპედო" და კიდევ ორიოდე გუნდი. ამ საკითხის სწრაფად გადაწყვეტა იოლი არ არის, მაგრამ უეფას მოთხოვნის დაკმაყოფილება აუცილებელია.

ბოლოს ითქვა, რომ პრეზიდენტები თვეში ერთხელ მაინც უნდა შევიკრიბოთ და საჭირბოროტო საკითხები ერთობლივად გადავწყვიტოთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# სტუდენტებს არავისი ეშინიათ

საჩემპიონატოდ „უნივერსიტეტად" გადაკეთებული „შევარდენი" სოფელ ყვავილნარში ემზადებოდა. გუნდის პრეზიდენტი ზაალ ცხვარაძე ზღვისპირეთში ჩატარებული 10-დღიანი შეკრებით კმაყოფილია:

— ჩვენ დავბინავდით იმ კოტეჯებში, სადაც სუფსის ნავთობის ტერმინალზე დასაქმებული მუშები ცხოვრობენ. პირობები მშვენიერი იყო — გათბობა, ელექტროენერგია და ცხელი წყალი. შეკრებაც ისეთი ნაყოფიერი გამოდგა, რომ შემიძლია თამამად ვთქვა — ჩემპიონატში ნებისმიერ მეტოქესთან სათამაშოდ მზად ვართ. ამ პერიოდში ორი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ: „ოდიშთან" 1:3 წავაგეთ, „კახეთს" კი 3:2 ვძლიეთ."

სლოვაკეთში არშემდგარი შეკრების თაობაზე სტუდენტთა პრეზიდენტმა გვითხრა: „სლოვაკეთში გამგზავრება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი გვქონდა, მაგრამ არ ვიცოდით, როგორ სტადიონს დაგვითმობდნენ სავარჯიშოდ. ისე წასვლას კი აზრი არ ჰქონდა. პასუხს დიდხანს ველოდით, სლოვაკებმა, როგორც იქნა, ფაქსი გამოგვიგზავნეს და გვაუწყეს, რომ გამონახეს შესაფერისი მოედანი, მაგრამ ამ დროისთვის ვიზების გაფორმებას ველარ ვახერხებდით. ამიტომ ვერ გავემგზავრეთ სლოვაკეთში."

## 14 მარტამდე მცირე დროა

ჩემპიონატის განახლებამდე გუნდები დროდადრო საკონტროლო მატჩებსაც მართავენ. გაგაცნობთ რამდენიმე შეხვედრის შედეგს:

**ოდიში — ტორპედო 2:1, ოდიში — სამტრედია 2:0, ოდიში — სამგურალი 2:0, ოდიში — შევარდენი 3:1, იბერია — მარგვეთი 3:2, ტორპედო — სამგურალი 0:0, სამგურალი — სამტრედია 0:1, სამგურალი — სამტრედია 2:1, შევარდენი — კახეთი 3:2**

# ფოთელთა მოგზაურობა არეულ ბულგარეთში

ფოთის „კოლხეთის" ბულგარული შეკრების შესახებ „სარბიელმა" შეძლებისდაგვარად გამცნოთ. ფოთელები 24 თებერვალს შინ დაბრუნდნენ. შეკრების შესახებ „კოლხეთის" დირექტორატის წევრმა ვახტანგ ხაინდრავამ მოგვითხრო.

— ბურგასში, უფრო სწორად, მასთან ახლოს მდებარე საკურორტო ქალაქ ნესებარში 2 თებერვალს ჩავედით. მშვენიერ, მყუდრო სასტუმროში დავბინავდით, პირობებიც ძალიან კარგი გვქონდა. რაც მთავარია, ჩინებული მინდვრები იყო და უამრავი გუნდი ემზადებოდა თავისი ქვეყნის ჩემპიონატისთვის — უკრაინის, რუსეთის, სომხეთისა და თავად ბულგარეთისა.

შეკრება მეტად ნაყოფიერი გამოდგა და მთავარი მწვრთნელი სოსო ფილიაც კმაყოფილი დარჩა. ექვსი საკონტროლო შეხვედრა ჩავატარეთ — ორი მოვიგეთ, ორი ფრედ დავასრულეთ, ორიც წავაგეთ. ხუთი მატჩის შედეგი უკვე იცით, მეექვსე შეხვედრაში კი უკრაინულ „კრემენს" 1:0 მოვუგეთ 54-ე წუთზე დარასელიას მშვენიერი საჯარიმო დარტყმის წყალობით. „კოლხეთმა" ეს შეხვედრა უცვლელად ჩაატარა: გვასალია, გიორგაძე, ტორჩინავა, გოროზია, ინიაშვილი, გვასალია, დარასელია, მიქაბერიძე, სოლოლაშვილი, ამაშუკელი, მახარაძე. ურიგოდ არ გვითამაშია. ფილიამ ამ შეხვედრაში, ფაქტობრივად, გუნდის საჩემპიონატო სქემა ჩამოაყალიბა. თამაშს ინტერესს ისიც მატებდა, რომ უკრაინელთა ხელმძღვანელობამ გამარჯვებისთვის მოთამაშეებს პრემია დაუწესა. საკმაოდ ხისტი თამაში გამოდგა და საბოლოოდ ვაჯობეთ მეტოქეს.

**— თქვენ თუ დაურიგეთ ფეხბურთელებს პრემია?**

— ისეთი სოლიდური პრემია არ გვქონდა, როგორც უკრაინელებს. რითაც შეგვეძლო, იმით წავახალისეთ ბიჭები. მოკლედ, შეკრებით კმაყოფილნი დავრჩით, თუმცა, რამდენად ნაყოფიერად გამოვიყენეთ ეს დრო, 31 მაისი და საბოლოო ცხრილი გვიჩვენებს.

**— ოცდღიანი შეკრების ორგანიზება უცხოეთში თავისთავად მეტყველებს „კოლხეთის" მყარ ფინანსურ მდგომარეობაზე.**

— სხვა გუნდებთან შედარებით მართლაც უკეთეს მდგომარეობაში ვართ. თქვენი თქმისა არ იყოს, ამას ბულგარეთის საკმაოდ ძვირადღირებული შეკრებაც მეტყველებს. რაც მთავარია, გუნდი ყველაფრით უზრუნველყოფილია — ფორმებით, მედიკამენტებით და არც ფეხბურთელების ნაკლებობას განიცდის. ეგაა, რომ გოგიტა ქუნთელია გვყავს დაშავებული, საკონტროლო შეხვედრისას ტვინის შერყევა მიიღო.

**— მომავალშიც ხომ არ აპირებთ ბულგარეთში გამგზავრებას?**

— თუ რაიმემ არ შეგვიშალა ხელი, ზამთრის შეკრების იქ ჩატარებას ტრადიციად ვაქცევთ.

**— თქვენი გამგზავრება ბულგარეთში არეულობას დაემთხვა. ამას გუნდის მომზადება ხომ არ შეუფერხებია?**

— არეულობა მართლაც იყო. ბულგარული ფულის, ლევის დიდ ინფლაციას ძლიერი ენერგოკრიზისი მოჰყვა. ბენზინის შოვნა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო. თუმცა, ჩვენ პრობლემები არ გვქონია, რადგან ძლიერი ფირმა „ექსიმტეკა" გვმასპინძლობდა, რომელთანაც ფოთის პორტი თანამშრომლობს. ფირმის წყალობით თავს მშვენივრად ვგრძნობდით და მასპინძლების უსაზღვროდ მადლიერნი ვართ.

**— ბოლოს ხუჯაძისა და გახოკიძის გადასვლებზე დაგეკითხებით. საბოლოოდ გადაწყდა ეს საკითხი?**

— ჯერ არაფერი გარკვეულა. სფფ-ს შესაბამისმა კომისიამ დაადგინა, რომ ხუჯაძეს „ტორპედოში" თამაშის უფლება აქვს, მაგრამ ქუთაისელებმა საამისოდ კონპენსაცია უნდა გადაგვიხადონ. ოღონდ გაურკვეველია, ამ თანხას როდის გადაგვიხდიან ან საერთოდ გადაგვიხდიან კი? იმიტომ ვეჭვობ, რომ შეიძლება დარასელიას „სამტრედიაში" გადასვლის მაგალითი განმეორდეს — სამტრედიელები მთელი წელი გვპირდებოდნენ კომპენსაციის გადახდას, მაგრამ თავი არ შეუწუხებიათ და დარასელია, ფაქტობრივად, ერთი წელი უფასოდ წაგვართვეს. შემდეგ, როგორღაც მაინც დავიბრუნეთ, მაგრამ არ გვსურს, რომ ასეთი რამ განმეორდეს.

რაც შეეხება გახოკიძეს, მის შესახებ საერთოდ არაფერი ვიცით. შეკრებამდე „დინამოს" დირექტორატის წევრს რომან შოთაძეს ვესაუბრე ამ საკითხზე. მან მითხრა, რომ გახოკიძეს კონტრაქტი ჯერ არ გაუფორმებია. შოთაძე შეგვპირდა, როგორც კი გახოკიძე კონტრაქტზე ხელს მოაწერს, შეგატყობინებთო. მაგრამ მას შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა და არავინ შეგვხმიანებია. თუ ასე გაგრძელდა, სხვა გზებს მივმართავთ.

**— რას გულისხმობთ?**

— ფედერაციას ვთხოვ გახოკიძის საკითხს ნათელი მოჰფინოს. „დინამოსთან" გაფორმებული კონტრაქტით გახოკიძე „კოლხეთს" ერთი წელი ეკუთვნოდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლო „დინამოს" მისი წაყვანა ან გაყიდვა. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ კონტრაქტი დაირღვა, ეს კი საკმაოდ სოლიდურ თანხას შეადგენს.

**მერაბ მამულაშვილი**

# საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მე-16 მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში მომზადებისათვის ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდარული გეგმა

| № ჩასატარებელი ღონისძიებები | ჩატარების თარიღი |
|---|---|
| **I. ძირითადი პუნქტები** | |
| 1. მე-16 მსოფლიო პირველობის მე-2 შესარჩევ ქვეჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრები გუნდის კონკრეტული თამაშებისთვის მომზადების გეგმის შედგენა არსებული გეგმის შედგენა არსებული ინფორმაციის საფუძველზე. | კონკრეტულ თამაშამდე ერთი კვირით ადრე. |
| 2. საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატების მომზადების ინდივიდუალური გეგმების შედგენა არსებული ინფორმაციის საფუძველზე. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში და კონკრეტული თამაშისათვის მზადების პერიოდში. |
| 3. საქართველოს ნაკრები გუნდის ფეხბურთელების სამედიცინო შემოწმების და ტესტირების პროგრამის შედგენა. | 20.03.97 წ-მდე. |
| 4. საქართველოს ნაკრებში ფეხბურთელთა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმების შემუშავება. | 01.03.97 წ-მდე. |
| 5. საქართველოს ნაკრები გუნდის სათამაშო პრინციპების შემუშავება. | 01.03.97 წ-მდე. |
| **II. სხვა აუცილებელი პირობები (ინფორმაციის მოპოვება)** | |
| 1. მაქსიმალურად სრული ინფორმაციის შეგროვება მე-2 ქვეჯგუფში მოასპარეზე მოწინააღმდეგე გუნდების შესახებ. (მთლიანად ნაკრებ გუნდებზე და სათითაოდ ამ გუნდებში მოთამაშე ფეხბურთელებზე). | მუდმივად, შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში და კონკრეტულ თამაშამდე. |
| ა) საქართველოს ნაკრები გუნდის წარმომადგენლის მივლინება თამაშებზე მოწინააღმდეგე გუნდების მონაწილეობით. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| ბ) უცხოური და ადგილობრივი პრესის მიმოხილვა | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| გ) მე-2 ქვეჯგუფში მოასპარეზე მოწინააღმდეგე გუნდების მონაწილეობით ჩატარებული თამაშების ვიდეომასალების მოძიება და შესწავლა. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| დ) საუბრები სპეციალისტებთან და ჟურნალისტებთან. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| ე) საქართველოს ნაკრებ გუნდში მომუშავე წინამორბედ მწვრთნელთა მიერ მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა. | 01.03.97 წ-მდე. |
| **2. საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატებზე სრული ინფორმაციის მოპოვება:** | |
| ა) არსებული ინფორმაციის შესწავლა. | 01.03.97 წ-მდე. |
| ბ) საქართველოს ნაკრები გუნდის წარმომადგენლების მივლინება ნაკრები გუნდის კანდიდატების თამაშებზე. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| გ) ნაკრები გუნდის კანდიდატების მიმდინარე მდგომარეობის შესწავლა (სამედიცინო შემოწმება, ტესტირება, საკონტროლო თამაშები). | კონკრეტული თამაშისათვის მზადების პერიოდში, წინა სათამაშო შეკრებაზე. |
| დ) მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა იმ გუნდების მწვრთნელებთან და სამედიცინო პერსონალთან, რომლებშიც გამოდიან საქართველოს ნაკრები გუნდის კანდიდატები. | შესარჩევი ტურნირის მსვლელობაში. |
| **III. საქართველოს ნაკრები გუნდის მომზადების ძირითადი მიმართულებები.** | |
| 1. სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ინდივიდუალიზაცია შემუშავებული ინდივიდუალური გეგმების მიხედვით (კონკრეტული თამაშისათვის). | |
| 2. ფეხბურთელთა ჯგუფების, მთლიანად გუნდის და ცალკეული რგოლების შეთამაშება. | |
| 3. ტაქტიკური სქემების შემუშავება და დანერგვა. | |
| 4. საქართველოს ნაკრები გუნდის ფეხბურთელთა ფიზიკური თვისებების და სათამაშო კონდიციების გაუმჯობესება (კონკრეტული თამაშისათვის). | |
| 5. ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადება (კონკრეტული თამაშისათვის). | |
| 6. თეორიული მეცადინეობების ჩატარება შემუშავებული თემატური გეგმის მიხედვით. | |
| 7. ინდივიდუალური საუბრები ფეხბურთელებთან; პატრიოტული გრძნობის და პასუხისმგებლობის გაღვივება. | |
| 8. საქართველოს ნაკრები გუნდის ფეხბურთელთა მომზადებისთვის საჭირო სამედიცინო ღონისძიებების ჩატარება (ვიტამინიზაცია, აღდგენითი საშუალებები, სამკურნალო პრეპარატები) (კონკრეტული თამაშისათვის). | |
| 9. საქართველოს ნაკრები გუნდის ფეხბურთელთა მატერიალური სტიმულირება, სავარჯიშო და დასასვენებელი პირობების გაუმჯობესება; ეკიპირება; კვება. | |
| 10. ფეხბურთელთა ყოფის პრინციპების შემუშავება და დანერგვა (პროფესიონალიზმი, პრესის წარმომადგენლებთან ურთიერთობა და სხვა). | |
| 11. წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ნაკრები გუნდების მომზადების მოწინავე გამოცდილების გაზიარება და მისაღების დანერგვა. | |
| 12. საქართველოს ნაკრებ გუნდში საკუთარი ტრადიციების: სათამაშო სტილის, მანერის ჩამოყალიბება: არსებულის გაზიარება. | |

| № ჩასატარებელი ღონისძიებები | ჩატარების თარიღი |
|---|---|
| 1. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის სასომხეთის ეროვნულ ნაკრებთან საკონტროლო საერთაშორისო თამაშისათვის მზადებისას საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 27.03.97 წ-მდე. |
| 2. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის სასომხეთის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული საკონტროლო თამაშის ანალიზი. | 03.04.97 წ-მდე. |
| 3. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა. | 23.04.97 წ-მდე. |
| 4. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული ოფიციალური თამაშის ანალიზი. | 03.05.97 წ-მდე. |
| 5. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მოლდოვას ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის მზადებისას საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 01.06.97 წ-მდე. |
| 6. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მოლდავას ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული ოფიციალური თამაშის ანალიზი. | 10.06.97 წ-მდე. |
| 7. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის მზადებისას საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 07.06.97 წ-მდე. |
| 8. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული ოფიციალური თამაშის ანალიზი. | 17.06.97 წ-მდე. |
| 9. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის იტალიის ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის მზადებისას საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 03.09.97 წ-მდე. |
| 10. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის იტალიის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული თამაშის ანალიზი. | 13.09.97 წ-მდე. |
| 11. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მოლდოვას ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 17.09.97 წ-მდე. |
| 12. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მოლდავას ნაკრებთან ჩატარებული თამაშის ანალიზი. | 27.09.97 წ-მდე. |
| 13. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან ოფიციალური თამაშისათვის საწვრთნელი პროცესის გეგმის შედგენა და დამტკიცება. | 04.10.97 წ-მდე. |
| 14. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან ჩატარებული თამაშის ანალიზი. | 14.10.97 წ-მდე. |
| 15. საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის მე-16 მსოფლიო პირველობის შესარჩევ ტურნირში გამოსვლის შედეგების შეჯამება; მუშაობის დაწვრილებითი ანალიზი. | 25.10.97 წ-მდე. |

## ინგლისი

### XXVI ტურის ბოლო მატჩი

**ვესტ ჰემი 4:3 ტოტენჰემი**

**ვესტ ჰემი: მილკოშკო, ბრიკერი, დიქსი, პოტსი, ბიშოპი, კიტსონი (დაუი 79), ჰართსონი, მონკური, ბოუენი, ჰიუზი, ფერდინანდი**

**ტოტენჰემი: უოქერი, ოხტინი, ჰოულსი (როზენტალი 84), კალდერვუდი, უილსონი, ივერსენი, კემპბელი, კარი, სინტონი (ნილსენი 79), ანდერტონი, შერინგემი,**

**გოლი: შერინგემი (8), დიქსი (21,72 პ), კიტსონი (22), ანდერტონი (29), ჰართსონი (38), ჰოულსი (53)**

სტადიონზე შეკრებილ 23 998 გულშემატკივარს ორმხრივი შეტევებით ალსავსე ეს უხვგოლიანი მატჩი ძალიან დიდხანს დაამახსოვრდება. სათამაშო ცეცხლი, ტექნიკა, ნაირგვარი პასები და მცველთა შეცდომები, რომელთაც შეხვედრა ერთგვარად დაამშვენეს კიდეც, ინგლისური ფეხბურთის ტრადიციულ სახეს ქმნიდნენ. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ყველა შეტევა გოლით უნდა დასრულებულიყო.



შერინგემი და დიქსი შებმულან

„ვესტ ჰემმა“ ამ სეზონში პირველად შეაგდო ერთ თამაშში ოთხი გოლი. გასავარდნთა ჯგუფის მოცილება 19 თამაშში ორი მოგებით უფრო შესაძლებელია, ვიდრე ერთით, ამიტომაც კლუბის ქომაგებმა მეტისმეტ ზეიმს მისცეს თავი. გამარჯვების გოლი 72-ე წუთზე ჯულიან დიქსმა გაიტანა და დაამტკიცა, რომ დარჩენილ მატჩებში თანაგუნდელებს მისი სულიკვეთების გაზიარება მართებთ, თუ გაისად პირველ დივიზიონში არ სურთ თავის ამოყოფა. ეს გოლი პენალტით გავიდა: დევიდ ჰოულსმა ჯონ ჰართსონს საჯარიმოში კვანტი მიართვა, ნიშნულთან მისულმა დიქსმა კი ნერვები მოთოკა და „ვესტ ჰემს“ წლის პირველი გამარჯვება მოუტანა.

ორივე მხარის დაცვა აშკარა შეცდომებს უშვებდა, ასე რომ ამინდისთვის რაიმეს გადაბრალება არასწორი იქნება. წვიმდა და ცივი ქარიც ქროდა, მაგრამ საეჭვოა თბილ და მშრალ ამინდში იმდღევანდელი უკანახაზელები უკეთ გარჯილიყვნენ. თამაში მერვე წუთს ითვლიდა, როდესაც დარენ ანდერტონმა სტივ კარს გადააწოდა, კარმა შუისკენ გადატყორცნა ბურთი, იქ კი კოჭმოშუშებულმა ტედი შერინგემმა, დიქსსა და სტივ პოტსს შორის რომ მირბოდა, მოძრაობის უცვლელად, გზად ბურთს თავი მიჰკრა და ბადეში შეაგდო. 21-ზე „ვესტ ჰემმა“ ორი კუთხური აქცია გოლად. გამოხდა რვა წუთი და შერინგემის მეცადინეობის შემდეგ ანდერტონმა საჯარიმოს კიდიდან ლუდეკ მიკლოშკოს გადალმა, კარში შეაგდო ბურთი. მისთვის, ამ ტრავმითგაწყვეტილ სეზონში, ეს პირველი გოლი იყო. შემდეგ ანდერტონმა დიქსი წააქცია. „ვესტ ჰემის“ კაპიტნის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებული ჯარიმა ჰართსონმა თაური გოლით დაასრულა. ამ ეპიზოდში ჰართსონი ინგლისის ნაკრების მცველს სოლ კემპბელს უნდა გაენეიტრალებინა, მაგრამ შეცდა.

მეორე ტაიმი რვა წუთის დაწყებული იყო, როდესაც ახალი გოლი გავიდა, თუმცა აქ ამინდი და მცველთა შეცდომები არაფერ შუაში იყო: ივერსენმა ბურთი შერინგემს მიაწოდა, რომელმაც იგი შუა მოედნიდან გაქცეულ ჰოულს გადაუგდო. ძლიერად დარტყმის მაგივრად ჰოულსმა შიდა ტერფით ზუსტად დალაშქრა მიკლოშკოს კარი. აღსანიშნავია, რომ ჰოულსმა ეს თამაში კინაღამ გამოტოვა, რადგან კვირას ავტოავარიაში მოყოლილი მამა გარდაეცვალა. მწვრთნელმა გერი ფრენსისმა არჩევანი ფეხბურთელს დაუტოვა, მან კი თამაში ამჯობინა. ბოლო გოლზე კი თავში ვთქვით.

## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისის ნაკრების მეკარემ დევიდ სიმენმა მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ტრავმის გამო მან „არსენალის“ ბოლო სამი თამაში გამოტოვა, არც ნაკრებში, იტალიელებთან წაგებულ შეხვედრაში მიუღია მონაწილეობა. ეს სიმენის ყველაზე უიღბლო სეზონია „არსენალში“ გადასვლის შემდეგ. 33 წლის მეკარე სექტემბერში დაშავებული იყო და ორი შეხვედრა გამოტოვა, ნოემბერში ტრავმამ ათზე მეტი შეხვედრა გააცდენინა, ახლა კი სეზონში მესამედ დაშავდა.

**ფრანგმა ფორვარდმა კრისტოფ დუგარიმ უარყო ხმები „მილანიდან“ წასვლის თაობაზე. მართალია, მოთამაშე უკმაყოფილოა, რომ ძირითადში ხშირად არ ათამაშებენ, მაგრამ „მილანის“ დატოვება არც უფიქრია. „მომავალ წელს საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. რადაც არ უნდა დამიჯდეს, ნაკრებში უნდა მოვხვდე. მაგრამ აბა ნაკრებში ვინ წამიყვანს, თუ კლუბშიც არ გათამაშებენ“ — განაცხადა დუგარიმ.**

გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ეგიდუს ბრაუნის განცხადებით, უპრიანი იქნებოდა, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გერმანიას და ინგლისს ერთად ემასპინძლათ. მან იაპონიისა და კორეის მაგალითი მოიშველია. ბრაუნის წინადადება სასწრაფოდ აიტაცეს ინგლისურმა გაზეთებმა, თუმცა ბრიტანეთში არცთუ ბევრი აღმოჩნდა ამ აზრის მხარდამჭერი. ამის შესახებ ფიფამ შეიტყო და იმ დღესვე უარყო ეს იდეა. ევროპის იმ ერთი ქვეყნის ვინაობა, რომელსაც უეფა ფიფაში წარადგენს ტურნირის მასპინძლად, 12 აპრილს გაირკვევა უეფას საგანგებო სხდომაზე. 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი გამოთქვეს ბრაზილიამ, არგენტინამ, ეგვიპტემ, მაროკომ და სამხრეთ აფრიკამ.

**შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან-ერიქსონმა გაწყვიტა კონტრაქტი „ბლექბერნთან“. მომავალი წლიდან იგი ინგლისში უნდა გადასულიყო, მაგრამ გადაწყვეტილება შეცვალა და მომავალი სეზონიდან „ლაციოს“ უხელმძღვანელებს. ერიქსონმა განაცხადა, რომ „ბლექბერნთან“ პრობლემები არ აქვს, ალბიონზე მუშაობა მხოლოდ ოჯახური პირობების გამო იუარა.**

ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ყოფილმა მეკარემ რეი კლემენსმა უარყო ხმები „საუთჰემპტონის“ მეკარეთა მწვრთნელად მისი დანიშვნის თაობაზე. რამდენიმე დღის წინ ბრიტანეთის პრესაში გაჩნდა ცნობა, თითქოს კლემენსი ყოფილი თანაკლუბელის გრემ სუნესის გუნდში გადავიდა, მაგრამ რეიმ მეორე დღესვე მოჰფინა ყველაფერს ნათელი და განაცხადა, რომ ნაკრებიდან, სადაც მეკარეების მომზადება ევალება, არსად წასვლას არ აპირებს.

**იტალიის თასის ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრა გაიმართა ბოლონიაში. ადგილობრივმა კლუბმა შინ 1:1 ითამაშა „ვიჩენცასთან“. შეხვედრის პირველ წუთებში მასპინძლები გამოირჩეოდნენ, თუმცა რეალური საფრთხე სტუმართა კარს არ დამუქრებია. „ბოლონიას“ უეჭველად ორი ბურთის სხვაობით უნდა მოეგო, რადგან სტუმრად 0:1 ჰქონდა წაგებული. შესვენებამდე ორი წუთით ადრე მასპინძლები კრისტიანო სკაპოლიმ დააწინაურა. მეორე ტაიმის 67-ე წუთზე ბოლონიელი მასიმო კარდონე გააძევეს. მანამდე კი „ვიჩენცას“ კაპიტანი ლოპესი გააფრთხილეს, რომელიც ამის გამო ფინალში ვერ ითამაშებს. მასპინძლების გამარჯვება თითქოს საეჭვო აღარ იყო, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ოთხი წუთით ადრე ჯოვანი კორნაჩინიმ გაათანაბრა და კლუბის 95 წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად გაიყვანა „ვიჩენცა“ ქვეყნის თასის ფინალში. გამარჯვებულთა მწვრთნელი ფრანჩესკო გუიდოლინი მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო: „მართალია, პირველ 10-15 წუთში მასპინძლებმა შემოგვიტიეს, მაგრამ შემდეგ თამაში გათანაბრდა. მოკლედ, ფრეს ნაღდად ვიმსახურებდით“.**

გერმანელი ფორვარდი ულფ კირსტენი ლევერკუზენის „ბაიერიდან“ ლისაბონის „სპორტინგში“ ველარ გადავა. ფიფამ განაცხადა, რომ კლუბებს შორის შეთანხმება კირსტენის ტრანსფერის შესახებ არაკანონიერია და იგი ძალადაკარგულად ჩაითვალა. 31 წლის ულფი, ვისაც გდრ-ის ნაკრებში 49-ჯერ, გაერთიანებული გერმანიის გუნდში კი 17-ჯერ უთამაშია, კვლავ „ბაიერში“ დარჩა. ფიფამ იმავე სხდომაზე განიხილა ინგლისური „ასტონ ვილას“ საჩივარი. პრემიერლიგის კლუბმა „ფენერბაჰჩეს“ 650 ათას დოლარად მიჰყიდა დელიენ ატკინსონი, მაგრამ თურქულმა მხარემ ჯერჯერობით მხოლოდ 250 ათასი გადაიხადა. ფიფამ სტამბოლის გუნდი გააფრთხილა, რომ თუ დარჩენილ 400 ათას დოლარს 30 დღეში არ გადაიხდის, მკაცრად დასჯის.

**პორტუგალიის ჩემპიონატში გაიმართა ერთი შეხვედრა. „სპორტინგმა“ 2:1 დაამარცხა „მარიტიმუ“.**

ჰოლანდიელმა ედგარ დევიდსმა იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში პერუჯაში შეხვედრის დროს ფეხი მოიტეხა. დევიდსს სასწრაფოდ გაუკეთეს ოპერაცია. პროფესორმა ჩერულიმ, ვინაც ჰოლანდიელს უწამლა, მოთამაშის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია. მოგვიანებით „მილანის“ ექიმმა პაოლო ტავანამ განაცხადა, ედგარის მომჯობინებას 6 თვე დასჭირდებაო.

**ესპანეთში გაიმართა ბოლო ტურის ერთი შეხვედრა. ორშაბათს „ვალენსიამ“ 2:1 მოუგო „კომპოსტელას“. ანგარიში თერთმეტმეტრიანით „კომპოსტელას“ ბულგარელმა ფორვარდმა პენევმა გახსნა მე-12 წუთზე. ორ წუთში ლეანდრომ გაათანაბრა, 66-ზე კი ენგოგამ საუცხოო დარტყმით გამარჯვების წერტილი დასვა.**

ხორვატიის ნაკრების ფორვარდი დავორ შუკერი ინგლისური ვოიაჟის შემდეგ სამშაბათს ესპანეთში დაბრუნდა. ცნობილია, რომ მისი კონტრაქტი მადრიდის „რეალთან“ სეზონის ბოლოს მთავრდება, ამიტომ მავან კლუბებს ფორვარდის უფასოდ ხელში ჩაგდება აქვთ განზრახული. ინგლისში ყოფნისას შუკერი ლონდონის „არსენალის“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ წარმომადგენლებს ესაუბრა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ უარი თქვა ფეხბურთელზე. მის ნაცვლად შუკერის გადაბირებაში „არსენალს“ რუუდ გულიტის „ჩელსი“ გაუწევს მეტოქეობას. როგორ დასრულდა მოლაპარაკება ფეხბურთელსა და კლუბებს შორის, უცნობია, თუმცა სავარაუდოა, რომ მომავალ სეზონში შუკერი ინგლისში ითამაშებს.

**გერმანიის ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიას“ ჩემპიონთა ლიგაში „ოსერთან“ მატჩში, შესაძლოა, შტეფან როიტერი გამოაკლდეს. მოთამაშეს კუნთი დაეჭიმა და მისი თამაში „მიუნხენ 1860“-თანაც სათუოა. გუნდი იმედს არ კარგავს, რომ მუხლის ოპერაციის შემდეგ მალე მომჯობინდება კლუბის ბრაზილიელი მცველი ჟულიო სეზარი.**

ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ქოვენტრის“ მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი „მანჩესტერ სიტიში“ მოთამაშე სტივ ლომასითაა დაინტერესებული. სტრაჩანის აზრით, ლომასი ძალზე წაადგებოდა მის კლუბს. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების წევრის სავარაუდო ფასი ორნახევარი მილიონი გირვანქაა.

**ესპანურმა „ვალენსიამ“, შესაძლოა, არგენტინის ნაკრებისა და ბუენოს აირესის „რივერ პლეიტის“ ნახევარმცველი არიელ ორტეგა შეისყიდოს. არგენტინული კლუბის პრეზიდენტი ალფრედო დევიჩო და მისი ესპანელი კოლეგა ფრანსისკო როიგი რიო დე ჟანეიროში შეხვდებიან ერთმანეთს და ტრანსფერის საკითხებზე მოილაპარაკებენ. ორტეგას სავარაუდო ფასი 12 მილიონი დოლარია. არ არის გამორიცხული, არგენტინელმა „ვალენსიასთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოაწეროს ხელი. სეზონში იგი მილიონ 700 ათას დოლარს მიიღებს.**

ბრაზილიელმა ფორვარდმა სონი ანდერსონმა „მონაკოსთან“ 2001 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი. საუბარი იყო მომავალ სეზონში მის „პარი სენ-ჟერმენში“ გადასვლაზე, მაგრამ ეს ჭორები თავად ფეხბურთელმა გაფანტა. შარშან ანდერსონი 21 გოლით საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და წელსაც უმიზნებს ბომბარდირობას 15 გოლით. 1993 წლიდან, მას შემდეგ, რაც საფრანგეთში ჩავიდა სათამაშოდ, ანდერსონმა 102 მატჩში 63 გოლი გაიტანა. „აქ ბედნიერი ვარ. მე მგონი, ცუდად არ ვთამაშობ და აქედან წასვლას არ ვფიქრობ“ — თქვა სონიმ.

**ისრაელის ქალაქ ერზილიში გაიმართა მასპინძელთა და გერმანიის ახალგაზრდული ნაკრებების ამხანაგური მატჩი. შეხვედრა 1:1 დასრულდა. მატჩს მხოლოდ ათასი კაცი დაესწრო. მე-2 წუთზე ჰასანმა დააწინაურა მასპინძლები, მეორე ტაიმის მე-2 წუთზე კი სტუმართა და დორტმუნდის „ბორუსიას“ ფორვარდმა ლარს რიკენმა თერთმეტმეტრიანით გაათანაბრა. ამასობაში მთავარი ნაკრების წევრებმა მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტთა მიერ მოწყობილი გენოციდის შედეგად დაღუპული 6 მილიონი ებრაელისთვის დადგმული მემორიალის სანახავად გამონახეს დრო. თან სტუმრებმა იქვე შეკრებილ ებრაელ ახალგაზრდებს უხვად ურიგეს ავტოგრაფები და მათთან ერთად სურათებიც გადაიღეს. ყველაზე პოპულარული სტუმარი ნაკრების კაპიტანი იურგენ კლინსმანი იყო.**

შვეიცარიის „ბაზელმა“ მიუნხენის „ბაიერნისგან“ შეისყიდა მცველი ოლივერ კროიცერი. კროიცერმა ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ტრანსფერი 475 ათასი დოლარი დაჯდა. 32 წლის კროიცერმა სეზონის წინ ბერლინის „ჰერტაში“ და ინგლისის „ნიუკასლში“ გადასვლაზე თქვა უარი.

**ბელგიაში გასული კვირა მწვრთნელთა დიდი გადაადგილებებით აღინიშნა. ნაკრების მთავარ მწვრთნელად დანიშნული ჟორჟ ლიკენსის ნაცვლად „მუსკრონში“ „ბრიუგეს“ მწვრთნელი უგო ბრუსი მივიდა. ბრუსის ადგილი ქვეყნის ჩემპიონ და თასის მფლობელ გუნდში წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა, ახლა კი ჩემპიონატში მესამე ადგილზე მყოფ „ლიერსის“ თავკაცმა ერიკ გერეტსმა დაიკავა. „ლიერსმა“, თავის მხრივ, ლიეჟის „სტანდარდის“ მწვრთნელი ჟოს დაარდენი შეისყიდა. დედაქალაქის „ანდერლეხტმა“ თანაქალაქელ „მოლენბეკს“ რენე ვან დერ ეიკენი „წაართვა“. „სტანდარტს“ და „მოლენბეკს“ ახალი მწვრთნელები არ დაუნიშნავთ.**

ბოლივიაში ივნისში სამხრეთი ამერიკის პირველობა გაიმართება. სამშაბათს ლა-პასში შედგა ჯგუფების წილისყრა. A ჯგუფში მოხვდნენ არგენტინა, ჩილე, პარაგვაი და ეკვადორი, რომლებიც კოჩაბამბაში ითამაშებენ, B ჯგუფის გუნდებს ბოლივიას, პერუს, ურუგვაისა და ვენესუელას დედაქალაქ ლა-პასში ელით თამაშები, C ჯგუფის გუნდები — ბრაზილია, მექსიკა, კოლუმბია და კოსტა-რიკა კი სანტა კრუზში შეეპაექრებიან ერთმანეთს.

**ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ალან შირერმა სამშაბათს სეზონში მეორედ გაიკეთა ჭვარედინი მყესების ოპერაცია. „ნიუკასლის“ პრეს-ატაშემ გრემ კორტნიმ განაცხადა, რომ შირერი ერთი თვე გამოაკლდება „ნიუკასლს“. ნათელია, რომ ალანი ვერ ითამაშებს უეფას თასის მეოთხედფინალში „მონაკოს“ წინააღმდეგ. სათუოა მისი თამაში 29 მარტს „უემბლიზე“ მექსიკასთან.**

გერმანელი ული შტილიკე თავის დროზე გერმანიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ მოთამაშე, მწვრთნელად დანიშვნიდან სამი თვის შემდეგ გადააყენეს. მან ვერ შეძლო ესპანეთის მეორე დივიზიონის „ალმერიას“ აუტსაიდერთა ზონიდან გამოყვანა.

**ესპანეთის „სევილიამ“ „ლოგრონიესთან“ 1:4 მარცხის შემდეგ გაათავისუფლა მწვრთნელი კარლოს ბილარდო. არგენტინელი ესპანურ კლუბში ერთი თვის წინ მივიდა, მაგრამ წყალწაღებულებს ვერაფერი უშველა. „რაც აქ მოვედი, სასიკეთო არაფერი გაკეთებულა. კლუბში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. აქ მუშაობა აუტანელია“ — თქვა ბილარდომ, რომლის გადაყენებაც გულშემატკივრებმა მოითხოვეს.**

იტალიის „მილანმა“ „პერუჯასთან“ წაგებით ძალზე გაიუარესა მდგომარეობა. გულშემატკივრები ამაში საკის სდებენ ბრალს. არიგომ კი მთავარ მიზეზად მოთამაშეთა საქმისადმი არაპროფესიული მიდგომა დაასახელა. „ცოტა ისაუბრეთ და ბევრი იმუშავეთ“ — განუცხადა საკიმ ფეხბურთელებს. „მე დესპოტი არ ვარ. ყველა ფიქრობს, თითქოს „მილანში“ დიქტატორული რეჟიმი დავამყარე, მაგრამ სულაც არ არის ასე. კლუბის ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა ჩემი ბრალი არ არის. ეს არასწორად გაკეთებული საქმის შედეგია“. „პერუჯასთან“ მატჩში პაოლო მალდინი კლუბში 13 წლიანი კარიერის მანძილზე მეორედ გააძევეს. „პაოლო ძლიერი ფეხბურთელია. გამიხარდა, როცა მატჩის შემდეგ ჩემთან მოვიდა და გაძევების გამო მომიბოდიშა“ — დასძინა საკიმ.

**ესპანეთის „ბარსელონას“ მწვრთნელმა ბობი რობსონმა გააკრიტიკა კლუბის კაპიტნის, რუმინელი პოპესკუს საქციელი. რობსონმა გაუმართლებლად მიიჩნია ის, რომ თასის მეოთხედფინალის წინ, მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მეტად პრინციპულ შეხვედრამდე, პოპესკუმ ტელეშოუში მიიღო მონაწილეობა. რობსონის წინამორბედი იოჰან კრუიფი არ უშლიდა მოთამაშეებს ტელეშოუებში მონაწილეობას, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა პირდაპირი არ იქნებოდა.**

თურქეთის ჩემპიონი „ფენერბაჰჩე“ ქვეყნის პირველი გუნდი გახდება, რომლის მფლობელებიც უბრალო მოქალაქეები იქნებიან. კლუბმა აქციების გარკვეული რაოდენობის აუქციონზე გაყიდვა გადაწყვიტა. კლუბის პრეზიდენტმა ალი სენმა სამშაბათს განაცხადა, რომ თუ გულშემატკივრებს „ფენერბაჰჩეს“ ჩემპიონთა თასის მფლობელად ხილვა სწადიათ, თანხაც უნდა გადაიხადონ, რომელიც სწორედ ამ საქმეს წაადგება.

**საფრანგეთის „კაენის“ მეკარე ლუკ ბორელი, ვინაც რამდენიმე წლის წინ დედაქალაქის „სენ-ჟერმენის“ ღირსებას იცავდა, მამაცობისთვის მედლით დააჯილდოვეს. 31 წლის ბორელიმ დეკემბერში გაყინული მდინარიდან ამოიყვანა კაცი, შველით კი ველარ უშველა — საავადმყოფოში მიყვანილს ექიმები ველარაფრით დაეხმარნენ.**



დიეგო მარადონას ლეგენდარული ალფრედო დი სტეფანოც უჭერს მხარს

არგენტინელმა დიეგო მარადონამ, ვინც გასულ წელს პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს, განაცხადა, რომ მის ორგანიზაციას ფიფას პრეზიდენტ ჟოაო ავილანჟთან და ორგანიზაციის გენერალურ მდივან ზეპ ბლატერთან შეხვედრისა და მათთან ერთად ფეხბურთელთა დაცვის პროექტის განხილვის დიდი სურვილი აქვს. მარადონას თქმით, ფიფას წევრთა უმრავლესობას ფეხბურთი საერთოდ არ უთამაშია და მათთვის ფეხბურთელთა მოთხოვნები უცხოა და გაუგებარი. „ჩვენ უეჭველად უნდა შევიმუშაოთ მოთამაშეთა დაცვის პროექტი. არის შემთხვევები, როცა ტრავმა ფეხბურთელის კარიერას წერტილს უსვამს. იგი საარსებო წყაროს გარეშე რჩება. ჩვენი ორგანიზაცია სწორედ ასეთი მოთამაშეების დასახმარებლადაა შექმნილი“ — თქვა დიეგომ. მარადონას გარდა, პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ორგანიზაციის დამფუძნებლები ერიკ კანტონა და ჯანლუკა ვიალი არიან.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XXII ტური

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი — ვიჩენცა | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ლაციო — ფიორენტინა | 2,0 | 2,7 | 3,4 |
| პიაჩენცა — ინტერი | 3,6 | 3,0 | 1,8 |

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — პერუჯა | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| მილანი — რომა | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| პარმა — კალიარი | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| სამპდორია — ბოლონია | 1,5 | 3,1 | 6,0 |
| უდინეზე — ნაპოლი | 2,1 | 2,8 | 3,1 |
| ვერონა — რეჯანა | 1,5 | 3,1 | 6,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXIV ტური

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ჯენოა | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| ჩეზენა — ბრეშია | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| კოზენცა — ტორინო | 4,0 | 3,1 | 1,7 |
| კრემონეზე — სალერნიტანა | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| დი სანგრო — კიევო | 2,0 | 2,8 | 3,3 |
| ემპოლი — ლეჩე | 2,6 | 2,6 | 2,5 |
| ფოჯა — პესკარა | 2,6 | 2,6 | 2,5 |
| ლუკეზე — რავენა | 2,1 | 2,8 | 3,1 |
| პალერმო — პადოვა | 1,9 | 2,8 | 3,5 |
| ვენეცია — რეჯინა | 1,5 | 3,3 | 5,3 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — სევილია | 1,4 | 3,3 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ლოგრონიესი — ვალენსია | 2,5 | 2,6 | 2,6 |
| რაიო ვალეკანო — დეპორტივო | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| ტენერიფე — ბარსელონა | 3,6 | 2,7 | 1,9 |

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| კომპოსტელა — სპორტინგი | 2,0 | 2,7 | 3,4 |
| სარაგოსა — ვალიადოლიდი | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| ხოსიედადი — ბილბაო | 1,8 | 3,0 | 3,6 |
| რასინგი — ესტრემადურა | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ოვიედო — სელტა | 1,9 | 2,7 | 3,6 |
| ბეტისი — ერკულესი | 1,2 | 4,2 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |

3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ესპანიოლი — რეალი | 3,4 | 2,9 | 1,9 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXVII ტური

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ასტონ ვილა — ლივერპული | 2,8 | 2,9 | 2,2 |
| ბლექბერნი — სანდერლენდი | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| დერბი ქაუნთი — ჩელსი | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| ევერტონი — არსენალი | 2,7 | 2,6 | 2,4 |
| ლიდსი — ვესტ ჰემი | 1,6 | 2,9 | 5,3 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — ქოვენთრი | 1,2 | 4,2 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ნიუკასლი — საუთჰემპტონი | 1,2 | 4,4 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| შეფილდ უენსდეი — მიდლსბრო | 1,6 | 2,9 | 5,3 |
| უიმბლდონი — ლესტერი | 1,3 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| ტოტენჰემი — ნოტინგემი | 1,7 | 3,0 | 4,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XX ტური

28 თებერვალი — 2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| არმინია — ბოხუმი | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| შალკე — ზანქტ პაული | 1,35 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,2 |
| კარლსრუე — მიონხენგლადბახი | 1,8 | 3,3 | 3,3 |
| ვერდერი — შტუტგარტი | 2,2 | 2,7 | 3,0 |
| ჰამბურგი — ჰანზა | 1,5 | 3,2 | 5,6 |
| კიოლნი — ფრაიბურგი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| დორტმუნდი — მიუნხენ 1860 | 1,2 | 4,4 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ბაიერნი — დუისბურგი | 1,2 | 4,2 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| ფორტუნა — ლევერკუზენი | 2,8 | 2,7 | 2,3 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIX ტური

28 თებერვალი — 3 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერტა — ვოლფსბურგი | 1,7 | 2,9 | 4,4 |
| გიუტერსლო — ურდინგენი | 2,2 | 2,8 | 2,9 |
| როტ ვაისი — კარლ ცაისი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| კაიზერსლაუტერნი — კიკერსი | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| ოლდენბურგი — უნტერჰახინგი | 2,5 | 2,6 | 2,6 |
| ლიუბეკი — მეპენი | 2,9 | 3,0 | 2,1 |
| ცვიკაუ — აინტრახტი | 3,0 | 2,9 | 2,1 |
| ფორტუნა — მანჰაიმი | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| ლაიპციგი — მაინცი | 2,0 | 3,0 | 3,1 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XXII ტური

28 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ამადორა — პორტუ | 6,5 | 4,0 | 1,3 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,8 |

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| შავეში — ბენფიკა | 6,5 | 4,0 | 1,3 |
| 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სპორტინგი — ლეცა | 1,15 | 5,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,5 |

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სეტუბალი — ჟილ ვისენტე | 1,25 | 4,2 | 7,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,0 |
| ლეირია — ბრაგა | 2,9 | 2,8 | 2,2 |
| სალგეირუში — გიმარაეში | 2,8 | 2,7 | 2,3 |
| ფარენსე — ბელენენსეში | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| ესპინიუ — რიუ ავე | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | [illegible] |
| ბოავიშტა — მარიტიმუ | 1,6 | 3,0 | 5,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIX ტური

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 5,6 | 3,6 | 1,4 |
| სელტიკი — ჰართსი | 1,15 | 5,3 | 9,0 |
| 0:1 | 1,5 | 3,4 | 3,5 |
| დანდი იუნაიტედი — დანფერმლაინი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰიბერნიანი — მოზერველი | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| რეით როვერსი — კილმარნოკი | 2,3 | 2,8 | 2,9 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტური

1-2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| სიტარდი — ტილბურგი | 1,9 | 3,0 | 3,3 |
| ჰერენვენი — როდა | 2,1 | 2,8 | 3,0 |
| ფეიენოორდი — ნაიმეგენი | 1,1 | 6,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,4 | 4,0 |
| ტვენტე — ვიტესი | 1,6 | 3,0 | 5,0 |
| გრონინგენი — ვოლენდამი | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ალკმაარი — ბრედა | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| ვალვაიკი — ეინდჰოვენი | 8,0 | 4,7 | 1,2 |
| 1:0 | 3,5 | 3,4 | 1,5 |
| გრააფსხაპი — უტრეხტი | 1,6 | 3,0 | 5,0 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XXV ტური

1-2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| მეხელენი — სტანდარდი | 2,6 | 2,6 | 2,5 |
| შარლერუა — მოლენბეკი | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| ეკერენი — ბრიუგე | 5,0 | 3,4 | 1,5 |
| ლოკერენი — ანტვერპენი | 2,3 | 2,7 | 2,8 |
| სერკლ ბრიუგე — გენტი | 2,9 | 3,0 | 2,1 |
| ანდერლეხტი — ჰარელბეკი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,4 |
| მუსკრონი — ლიერსი | 1,8 | 2,8 | 4,0 |
| ლომელი — სენტ ტრიუდენი | 1,5 | 3,3 | 5,3 |
| აალსტი — გენკი | 2,2 | 2,8 | 2,9 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XXIV ტური

28 თებერვალი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბეშიქთაში — დარდანელი | 1,1 | 5,6 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 5,0 |

1 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ანთალია — ფენერბაჩე | 8,0 | 4,7 | 1,2 |
| 1:0 | 3,5 | 3,4 | 1,5 |

2 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბურსასფორი — ტრაბზონსფორი | 5,6 | 3,6 | 1,4 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,9 |
| გალათასარაი — გენჩლერბირლიგი | 1,1 | 5,6 | 12,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 5,0 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9
ესპანეთი. 28 და ნაკლები — 1,9; 30 და მეტი — 1,9
ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9
გერმანია. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები სამივე შესაძლო შედეგისთვის. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და შედეგის შესაბამისი კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგის შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტთა ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1 000-ს. თუ ნამრავლი 1 000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1 000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და შესაბამისად მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის კოეფიციენტი 4,5 ტოლია. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა. შ.) ერთი და იგივე მატჩის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგალითად: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1).

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება შემდეგ შემთხვევაში:

1. ფსონი დადებულია მატჩის დამთავრების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (საკლუბო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონები, რომლებიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე).
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება).
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა.
5. წევილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი.
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

იმ შემთხვევაში, როცა ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვერა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის კოეფიციენტად ჩაითვლება 1 (ერთი) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია საკლუბო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ.

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა პატრონს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, როცა ქვითრის ორი მხარე ერთნაირად არ არის შევსებული, განსახილველად მიიღება კროკოს ადმინისტრაციაში შემოსულ ნაწილზე მითითებული ვარიანტი. მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება ქვითრებზე, რომელთა მეორე ნაწილიც არ არის შემოსული კროკოს ადმინისტრაციაში.

ფსონის მინიმალური ოდენობა: ერთ ვარიანტზე 50 თეთრი. ერთ ვარიანტში არ შეიძლება გადამრავლდეს 20 მატჩზე მეტი.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

ჭიდაობა

# ციციაშვილი შეგვწევია

ისრაელის ქალაქ ბერშევაში საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 10-დღიანი შეკრებაც გაიარა და იქაურ ტურნირშიც მიიღო მონაწილეობა. ბიჭებმა გვარიანად იჭიდავეს, ორი ოქროს და ორიც ვერცხლის მედალი მოიპოვეს. ახლაღა შევიტყვეთ, რომ ის ათდღიანი უფასო შეკრება ქართველი ებრაელის, ახლო წარსულში ჩვენი ქვეყნის მოქალაქის, მოჭიდავე გოჩა ციციაშვილის დამსახურება ყოფილა. გოჩამ ისრაელის ჭიდაობის ფედერაციის თავკაცთა შემწეობით შესაშური საქმე გაუკეთა ხეირიან საწვრთნელ პირობებს დანატრებულ ჩვენებურებს და ჩვენც მადლობის მეტი რა გვეთქმის.

ახლა დაწვრილებით ამ ტურნირის შესახებ. საქართველოს ნაკრებმა 12 გუნდში I ადგილი დაიკავა და ჩამოიტოვა გერმანია, ბელარუსი, პოლონეთი, უნგრეთი, საბერძნეთი და სხვანი.

ოქროს მედალოსნებმა ხვიჩა ბიჩინაშვილმა (76 კგ) და გიორგი ჯინჭველაშვილმა (69) დამაჯერებლად სძლიეს ყველა მეტოქეს და ფინალში ისე გავიდნენ. ფინალამდე ხვიჩამ შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონსაც მოუგო, ფინალში კი კვლავ ევროპის პრიზიორი, ამჯერად ბრინჯაოს მედლის მფლობელი გერმანელი დახვდა და არც მისი ძლევა გასჭირვებია — ლამაზად იჭიდავა და ქულათა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ჯინჭველაშვილმაც ლამაზი და აქტიური ჭიდაობით მიაღწია ფინალს, სადაც ბელარუსი მოჭიდავე გაამწარა, რომელიც თავის წონაში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორიც ყოფილა. გიორგიმ, რომ იტყვიან, შანსი არ დაუტოვა მეტოქეს და ეულ ოქროსმედალოსან თვისტომს შეუამხანაგდა. ორ ოქროს ორი ვერცხლიც მოჰყვა — აქ უკვე ბაკურ გოგიტიძემ (97) და მირიან გიორგიძემ იყოჩაღეს, არადა, ორივეს ჩემპიონობაც შეეძლოთ, თუმცა, მათ სხვადასხვა ფაქტორმა შეუშალა ხელი — გოგიტიძე იგებდა ფინალს (2:0) პოლონელთან, ბოლო წამებზე ჩოქბჯენშიც გადაიყვანა მეტოქე, შეეძლო დაეტრიალებინა და 3 ქულა აერთვა, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა და მოწინააღმდეგე ახერხა — მისი წილი 3 ქულა პოლონელმა მოიპოვა და ჩემპიონიც გახდა. მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ კი მასზე 15 კილოთი მძიმე ბელარუსთან წააგო, რომელმაც მანამდე მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ისახელა თავი. მიუხედავად გიორგაძის ტექნიკური ჭიდაობისა და მრავაფეროვანი ილეთებისა, 15-კილოგრამიანმა უპირატესობამ ბელარუსს გაამარჯვებინა.

ნაკრების დანარჩენი ოთხი წევრი უმედლოდ კი დარჩა, მაგრამ არც მათ უჭიდავიათ უხეიროდ, უფრო სწორად, ამ ოთხიდან სამს. კარგა ხნის უვარჯიშებელმა კობა გულიაშვილმა (63) ისრაელში პირველსავე ვარჯიშზე ტრავმა მიიღო და ხალიჩაზე აღარ გასულა. ვაჟა ომანიძემ III ადგილისთვის ბრძოლა ატლანტის ოლიმპიადის ფინალისტ რუს პავლოვთან დათმო — 2:3. ალექსანდრე ბოლქვაძემ (58) სამი შეხვედრა მოიგო, მხოლოდ ერთი წააგო და V ადგილს დასჯერდა. ყველაზე მეტი მონაწილე სწორედ 58 კილოგრამში ჭიდაობდა, სხვა წონაში კი 3 გამარჯვებით ხალხი ფინალში გადიოდა. ემზარ მახარაძეც გულნაკლული დაბრუნდა ბერშევადან. სანუგეშოდ ისღა დარჩენია, რომ სძლია 1995 წლის მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონს მაკარენკოსა და ევროპის ჩემპიონატის პრიზიორ გერმანელ მოჭიდავეს, ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლაში კი ოლიმპიური თამაშების მონაწილესთან, ბელარუს სიდორენკოსთან დამარცხდა — შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0 და ოდნავ მეტი აქტიურობისთვის მსაჯებმა სიდორენკო გააჩემპიონეს.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბეგი დარჩია, ბუნებრივია, კმაყოფილია შედეგით. განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ხვიჩა ბიჩინაშვილის ბოლოდროინდელ ამაღლობას, წინანდელთან შედარებით უკეთ იჭიდავეს ვაჟა ომანიძემ და ემზარ მახარაძემო, აღნიშნა მწვრთნელმა.

და ბოლოს, ისრაელში გუნდს ახლდა ტარიელ მელელაშვილიც, მაგრამ ტარიელმა, როგორც დაგეგმილი იყო, არ იჭიდავა, მხოლოდ მსუბუქად ივარჯიშა. ის კი არა, ტრავმამოშუშებულ ტარიელს ვარჯიშზეც სპარინგ-პარტნიორობას მხოლოდ ბეგი დარჩია უწევს და მწვრთნელის თქმით, ტარიელი, ალბათ, ევროპის ჩემპიონატზეც არ იასპარეზებს და საგანგებოდ მოემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის.

ლევან ჯაგახიშვილი

# „ალანია“ მოჭიდავეებისთვის

ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე ქართველი ფალავნები პერმში გაემგზავრნენ ცნობილი რუსი ფალავნის ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში სასპარეზოდ. აქედან სამნი — მალხაზ ნიშნიანიძე (54 კგ), ალექსანდრე ბოლქვაძე (58 კგ) და აკაკი ჩაჩუა (63) საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ, ოთხნი კი ვლადიკავკაზის სპორტული კლუბის სახელით გამოვლენ. ოსი ბიზნესმენის ივერი ქუმსიევის მეცადინეობით ჩვენი მოჭიდავეები ხშირად სტუმრობენ ვლადიკავკაზს, იქ ხეირიან პირობებში ვარჯიშობენ და ზოგ საერთაშორისო შეჯიბრებაზე იქაური კლუბის სახელით ჭიდაობენ. ამჯერად ხვიჩა ბიჩინაშვილი (76), ემზარ მახარაძე (85), ბაკურ გოგიტიძე და ზაზა სილაგაძე (ორივე — 97) ირჩიეს ოსთა სპორტული კლუბის მწვრთნელებმა და ეს ოთხეული პერმს წაიყვანეს.

# კურტანიძეს ტიტულები შეაშინებს?!

საქართველოს საუკეთესო მოჭიდავე ელდარ კურტანიძე კიევის საერთაშორისო ტურნირზე გამოსვლას არ აპირებდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა უკრაინაში ჩასვლა და აკი არც ინანა: თავის წონაში (97 კგ) ჯერ ნაკლებადცნობილ ბულგარელს სძლია, შემდეგ რუს გოლუბოვსკის, ამას კი უკრაინელი კარალიუკიც მოაყოლა. ევროპის ორგზის ჩემპიონმა პოლონელმა მარეკ გარმულევიჩმაც დამაჯერებლად მოიგო ყველა შეხვედრა და მაყურებელმაც შესაშური ფინალი იხილა — კურტანიძე-გარმულევიჩი. კურტანიძემ მასზე ტიტულოვანი პოლონელიც დაჯაბნა, 4 ქულა აართვა, თავად არცერთი დაუკარგავს და ჩემპიონიც გახდა. მანამდე კი ჩვენს ნაკრებს ოქროს მედალი დათო პოლოსიანმა (63) მოუტანა: კურტანიძის მსგავსად 4 შეხვედრა მოიგო დიდი უპირატესობით და ფინალში ბელარუს იური სენიუკს ეჭიდავა — ეჭიდავა კი არა, ჭიდაობის გაკვეთილი ჩაუტარა, თავის ნებაზე ატრიალა ჰაერში და ბოლოს ბეჭებით გააკრა ხალიჩას. სამწუხაროდ, კიევში სერიოზული ტრავმა მიიღო გოჩა ხარებავამ (63), არადა, მას ორი შეხვედრა ჰქონდა მოგებული და უკვე სერიოზულად ფიქრობდა მედლის მოპოვებაზე, მაგრამ მესამე შეხვედრა ფეხნატკენმა აღარ გააგრძელა. უმედლოდ დარჩნენ ემზარ ბედინეიშვილი (69) და თამაზ ყულოშვილი (54). თამაზი ახლახან დაოჯახდა, ბოლოხანს ინტენსიურად არ ვარჯიშობდა, ნელ-ნელა შედის ფორმაში და ხარებავას დარად 2 გამარჯვების შემდეგ მისი მარცხი ლოგიკურია. ბედინეიშვილმაც სწორედ მესამე შეხვედრა წააგო.

ივან იარიგინის სახელობის ტურნირის ორგანიზატორთა მსგავსად არ მოქცეულან კიევის ტურნირის მესვეურნი — მხოლოდ ფასიან საჩუქრებს დააჯერეს ჩემპიონები, არადა, კრასნოიარსკში გამარჯვებულებს 5-5 ათასი დოლარი მისცეს. ორი მსგავსება კი მაინც იყო ამ ორ ტურნირს შორის — იქაც და აქაც კურტანიძემ და ზოზიროვმა იმარჯვეს, იქაც და აქაც გაჩემპიონებულ ზაზა ზოზიროვს ოსმა ბიზნესმენებმა „გაზ-31“ აჩუქეს.

ჭადრაკი

# ისევ რუსიკო და გიორგი

ჭადრაკის სასახლეში დღეს დასრულდება 20 წლამდე მოჭადრაკე გოგონებისა და ვაჟების საქართველოს პირველობები.

ვაჟთა ერთპიროვნული ლიდერი გიორგი ბახტაძე მეშვიდე ტურში მიხეილ მჭედლიშვილთან დამარცხდა და მდევრებიც უფრო წამოეწივნენ. შვიდი ტურის შემდეგ ბახტაძეს 6 ქულა აქვს, მჭედლიშვილს და ალექსანდრე ედიშერაშვილს — 5,5-5,5, დავით შენგელიას და ლევან აროშიძეს 5-5.

სამაგიეროდ, კიდევ უფრო დაწინაურდა გოგოების ლიდერი რუსუდან გოლეთიანი. მას 6,5 ქულა აქვს და მთელი ქულანახევრით უსწრებს მდევარ ხუთეულს მირანდა ხორავას, სოფიკო ტყეშელაშვილის, დიანა დარჩიას, ინგა ჭარხალაშვილისა და ნათია აფხაიძის შემადგენლობით.

გამარჯვებულთა ვინაობას 27 თებერვალს შევიტყობთ.

ძალოსნობა

# ოქრო-ვერცხლი ირანიდან

რატომ უხშირეს ქართველმა სპორტსმენებმა ირანში სიარულს, ცნობილი ამბავია — სხვაგან წასვლაზე იაფი და მისაწვდომია, ჩვენნაირი გაჭირვებულებისთვის კი ეს საკმაო შეღავათია. ჰოდა, ამ ბოლო ხანს ამიტომაც მოგვიმრავლდა სპარსული ოქრო-ვერცხლი, რომლის „მორიგი პარტია“ ამჯერად ჩვენმა ძალოსნებმა „შემოიტანეს“. მათ 16-12 თებერვალს „ნამჯოს“ სახელით ცნობილ საერთაშორისო ტურნირში იასპარეზეს, ეს შეჯიბრი კი მსოფლიო თასის ერთ-ერთი ეტაპიც გახლავთ. წლევანდელ „ნამჯოში“ 5 ქვეყნის 70-დე სპორტსმენი მონაწილეობდა. რვა ქართველ ძალოსანს ნაკრების უფროსი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ ანთაური, მწვრთნელები შოთა წერეთელი და იური ნებიერიძე ხელმძღვანელობდნენ.

ირანის ძალოსნობის ფედერაციასთან კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს — გვითხრა ზურაბ ანთაურმა — ყოველთვის გულთბილად გვხვდებიან, ევროპის ჩემპიონატის წინა შეკრების თეირანში ჩატარებაც კი შემოგვთავაზეს. იქ მართლაც ყველა პირობაა სრულფასოვანი ვარჯიშისთვის და ეს არც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. ახლა ტურნირზე:

ბიძინა მიქიაშვილი (83 კგ) პირველ ადგილზე გავიდა ორჭიდში, 315 კილოგრამით. ატაცში მე-2 ადგილი დაიკავა 137,5 კილოგრამით, აკვრაში კი პირველი იყო — 177,5.

მუხრან გოგიამ, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, წონაში დაიკლო, 99 კილოგრამში იასპარეზა და მაინც ყველას აჯობა. იგი ატაცშიც და აკვრაშიც პირველი იყო, შესაბამისად 155 და 175 კილოგრამი დასძლია.

ოცი წლის ალეკო ნოზაძემ (108 კგ) თავის წონაშიც გაიმარჯვა და უფრო მძიმეებსაც აჯობა ორჭიდის შედეგით — 347,5. იგი ატაცშიაც (162,5) და აკვრაშიც (185) საუკეთესო იყო.

ორჭიდში მეოთხე ოქრო ლევან ბერაძემ (+108 კგ) მოგვიტანა. მან 305 კილოგრამი დასძლია: ატაცში — 135, აკვრაში — 170.

გიორგი ნუცუბიძემ (59 კგ) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა 207 კილოგრამით: ატაცში — 97,5, აკვრაში — 110.

ზურაბ ავთანდილაშვილი (91 კგ) მეოთხე ადგილზე გავიდა, კობა ალავიძე (64 კგ) მეხუთეზე, მაგრამ მან ატაცში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

გიორგი ხიზანიშვილი (70 კგ) მეათე კლასის მოსწავლეა. მართალია, საპრიზო ადგილი ვერ დაიკავა, მაგრამ ჩვენი დავალება შეასრულა და კარგი შთაბეჭდილება დატოვა. გიორგი ჭაბუკთა ევროპის პირველობისთვის ემზადება და ამ ტურნირში მიღებული გამოცდილება მომავალში დიდად წაადგება.

საქართველოს ნაკრებმა მთლიანად, მოძრაობების მიხედვით, 11 ოქრო, 1 ვერცხლისა, 4 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და მასპინძელთა შემდეგ გუნდური მეორე ადგილი დაიკავა. მესამეზე აზერბაიჯანელები გავიდნენ.

ტურნირზე კურიოზიც შეგვემთხვა: ბიძინა მიქიაშვილის დაჯილდოებისას საქართველოს ჰიმნის ნაცვლად რაღაც სპორტული მარში დაუკრეს. იმავწუთს პროტესტი გავაცხადე. მასპინძლები საოცრად შეწუხდნენ, თქვენი ჰიმნის კასეტა სადღაც დაგვეკარგაო. ფედერაციის პრეზიდენტმა დიდი ბოდიში გვიხადა და დაჯილდოება ხელახლა ჩაატარა, ამჯერად უკვე ჩვენი ჰიმნით.

ერეკლე კიკილაშვილი

ხელბურთი

# ბელგიელებთან 6 მარტს, თბილისში...

საქართველოს ვაჟთა ნაკრები 6 მარტს ბელგიელებთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შესახვედრად ემზადება. წინა შეხვედრამ ფინელებთან გულშემატკივრები კი გაახარა, მაგრამ მატჩის რუმინელმა კომისარმა ჩვენი მასპინძლობა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია. კომისარს არ მოეწონა არც ასკ-ს დარბაზის ფიცარნაგი, არც საშხაპეები და ა.შ. ამიტომ ბელგიელებთან მატჩის თბილისში ჩატარება სათუო იყო. საბოლოოდ მაინც ისე გადაწყდა, რომ ჩვენებს ბელგიელებისთვის თბილისში ემასპინძლათ, ოღონდ სად, ამას მხოლოდ ამ მატჩის გერმანელი კომისარი გადაწყვეტს, რომელიც ორი დღით ადრე გვეწვევა. ამასობაში საქართველოს ნაკრები ასკ-ს დარბაზში ვარჯიშობს. გუნდში ისევ ის ხელბურთელები არიან, რომლებმაც ფინელებთან ითამაშეს. საპასუხო მატჩი ბელგიაში 9 მარტს გაიმართება.

ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

24 თებერვალი. ვაშინგტონი — ბოსტონი 3:3, ფინიქსი — დეტროიტი 3:5.

25 თებერვალი. ტამპა — სენტ ლუისი 3:2, ფლორიდა — სან ხოსე 2:2, ჩიკაგო — დალასი 0:1, ვანკუვერი — მონრეალი 2:4, ლოს ანჯელესი — კოლორადო 3:1.

ფინიქსმა და დეტროიტმა ნამდვილი სანახაობა მოაწყვეს. მატჩისადმი ინტერესს ლიგის საუკეთესო სნაიპერები — ფინიქსელი ტკაჩუკის და დეტროიტელი შენაჰანის დუელიც აღვივებდა. ამათაც არ გააწბილეს მაყურებლის იმედი. თუმცა, ეს უფრო შენაჰანის დღე იყო. მან პირველივე პერიოდში სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა, ბოლო წუთებზე კი, როცა შეხვედრის ბედი წყდებოდა, ეფექტური რეიდი შეასრულა და თავისი მე-40 შაიბა შეაგდო, რაც მანამდე მხოლოდ იაგრმა და ლემიემ შეძლეს. ტკაჩუკის სასარგებლოდ შაიბა და საგოლე პასი კი მეტყველებს, მაგრამ ამან არ იკმარა.

ცენტრალური დივიზიონის კიდევ ერთ მატჩში დალასი და ჩიკაგო დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჩიკაგოელებმა (5 მოგება 6 მატჩში) ბოლო ხანს საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა, რაც დროულად გაკეთებულ გაცვლებს და შეცვლილ ტაქტიკას უნდა მივაწეროთ. არც დალასთან გამოიყურებოდნენ ურიგოდ, მაგრამ საუცხოოდ მოთამაშე გოლკიპერი ირბე (მე-10 მშრალი მატჩი კარიერაში) „ქორების“ ყველა შეტევას გაუმკლავდა, მისმა პარტნიორმა ჰარკიმ კი ერთადერთი კონტრშეტევა შედეგიანად დაასრულა. დალასი კვლავ ინარჩუნებს დივიზიონის ლიდერობას.

თებერვლის მეორე ნახევარი საკმაოდ უიღბლო გამოდგა ფლორიდასთვის. ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს უკვე 6 მატჩი არ მოუგია (2 ფრე, 4 წაგება), ვერც ამჯერად შეძლო სუსტი სან ხოსეს ძლევა და დებიუტანტ ნემიროვსკის (4) შაიბა რომ არა, ქულასაც დაკარგავდა.

ზედიზედ მეოთხე გამარჯვება იზეიმა ტამპამ. შეხვედრის დაწყებიდან ორი წუთიც არ იყო გასული, რომ მასპინძლებმა უკვე ორი შაიბა შეაგდეს, თანაც პირველი — მე-13 (!) წამზე. სენტ ლუისმა ბევრი იბრძოლა, გუნდის საუკეთესო სნაიპერმა ჰალმა ორი გოლით (სულ 37) ანგარიში მინიმუმამდეც კი შეამცირა, მაგრამ „ელვამ“ შეინარჩუნა მოგება. უნდა აღინიშნოს, რომ ჰალმა წინა მატჩშიც ორი შაიბა შეაგდო და 217 გოლით ბოლო ხუთი წლის საუკეთესო სნაიპერია. მისი უშუალო მდევრის — ვანკუვერელი მოგილნის აქტივში 11-ით ნაკლებია.

რუსი არც ამჯერად დარჩა უგოლოდ, მაგრამ მისმა კლუბმა კვლავ ვერ ივარგა და ფლეი-ოფშიც ვერ ხვდება. რუსეთის ნაკრებს კი ეს ხელს აძლევს, რაკი მსოფლიო ჩემპიონატზე მოგილნი-ბურეს სუპერდუეტს გამოიძახებს.

ლოს ანჯელესთან შეხვედრამდე უდაოდ გამოირჩეოდა ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი კოლორადო. „ეველანშმა“ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო და ოსტატობასთან ერთად მებრძოლი სულიც გამოავლინა. ოტავა რომ დაამარცხა, წინა „სარბიელში“ გაუწყეთ, პარასკევს კი ბოლო წამზე ედმონტონს შეუგდო და თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც გადამწყვეტი გოლიც გაახერხა. გარდა ამისა, გამოჯანმრთელებულმა საკიმ და ფორსბერგმა პირველი შაიბები მიიხვალეს. და უცებ, მაჩანჩალა ლოს ანჯელესთან კოლორადომ მეტად უსუსურად ითამაშა და შეწყვიტა იღბლიანი სერია. „კინგზის“ რიგებში ევროპელები გამოირჩეოდნენ — გადამწყვეტი გოლი ჩეხმა ვოპატმა (2) შეაგდო, ხოლო საბოლოო წერტილი ვეტერანმა ოლჩიკმა (4+4 ბოლო 7 მატჩში) დასვა ხრისტიჩის გადაცემის შემდეგ. კლუბმა კი ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა.

და ბოლოს, ბოსტონში მომხდარ ინციდენტზე. გუნდის ლიდერმა ოუთსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აღარ სურს ისეთ გუნდში თამაში, რომლის ხელმძღვანელობაც მოთამაშეთა კრიტიკის გარდა არაფერს აკეთებს. ამას ის მოჰყვა, რომ ოუთსს ვიცე-კაპიტანის წოდება ჩამოართვეს, მალე კი ალბათ გაცვლიან კიდეც. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მეპასის შედეგიანი სერია სარეკორდოა სეზონში — 21 მატჩი (7 გოლი და 18 პასი), თუმცა, ეს სულაც არ დაეტყო მის გუნდს, რომელსაც აგერ უკვე 9 მატჩი არ მოუგია.

სულ ბოლო მომენტში შევიტყვეთ, რომ ნიუ ჯერზიმ, როგორც იქნა, მოძებნა შესაფერისი გამთამაშებელი. 33 წლის ტორონტოელ გილმორს, რომელიც ლიგაში ერთ-ერთ საუკეთესო მეპასედ ითვლება და კარიერაში 361 შაიბასა და 740 პასს ითვლის, მცველი ელეტიც დაემატა. სამაგიეროდ, „ეშმაკებმა“ სამი ახალგაზრდა მოთამაშე გაუშვეს.

სამველ ლარიბიანი

კალათბურთი

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

24 თებერვალი

ატლანტა — გოლდენ სტეიტი 106:100, ორლანდო — დეტროიტი 93:84, ჩიკაგო — პორტლენდი 115:87, შარლოტი — სან ანტონიო 96:84

25 თებერვალი

სიეტლი — კლივლენდი 72:66, ნიუ ჯერსი — საკრამენტო 97:90, ვაშინგტონი — ინდიანა 108:87, ჰიუსტონი — ლეიკერზი 100:96, დალასი — შარლოტი 86:84, ტორონტო — დენვერი 124:122, იუტა — ნიუ იორკი 110:99, კლიპერზი — ფილადელფია 98:93

### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 42 | 13 | 76,4 |
| ნიუ იორკი | 40 | 16 | 71,4 |
| ორლანდო | 28 | 25 | 52,8 |
| ვაშინგტონი | 25 | 30 | 45,5 |
| ნიუ ჯერსი | 17 | 38 | 30,9 |
| ფილადელფია | 14 | 40 | 25,9 |
| ბოსტონი | 11 | 43 | 20,4 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 49 | 6 | 89,1 |
| დეტროიტი | 40 | 14 | 74,1 |
| ატლანტა | 36 | 18 | 66,7 |
| შარლოტი | 35 | 22 | 61,4 |
| კლივლენდი | 30 | 24 | 55,6 |
| ინდიანა | 25 | 29 | 46,3 |
| მილუოკი | 25 | 29 | 46,3 |
| ტორონტო | 20 | 35 | 36,4 |

### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 39 | 15 | 72,2 |
| ჰიუსტონი | 37 | 19 | 66,1 |
| მინესოტა | 27 | 27 | 50,0 |
| დალასი | 19 | 34 | 35,8 |
| დენვერი | 17 | 40 | 29,8 |
| სან ანტონიო | 13 | 41 | 24,1 |
| ვანკუვერი | 11 | 47 | 19,0 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 39 | 15 | 72,2 |
| ლეიკერზი | 38 | 17 | 69,1 |
| პორტლენდი | 29 | 27 | 51,8 |
| კლიპერზი | 23 | 29 | 44,2 |
| საკრამენტო | 24 | 31 | 43,6 |
| გოლდენ სტეიტი | 20 | 33 | 37,7 |
| ფინიქსი | 20 | 36 | 35,7 |

# პიპენის კვირა



პიპენი პეიტონის წინააღმდეგ

„ჩიკაგო ბულზის“ ფორვარდმა სკოტი პიპენმა ცოტათი აჯობა შარლოტელ კოლეგას ენტონი მეისონს და გახდა ნბა-ს მორიგი კვირის (17-23 თებერვალი) საუკეთესო მოთამაშე. ამ კვირაში „ჩიკაგომ“ სამიდან სამივე მატჩი მოიგო, ხოლო პიპენმა საშუალოდ მატჩში 32,3 ქულა, 6,6 მოხსნა და 5,3 პასი გააკეთა.

პიპენმა ყველაზე კარგად იმ კვირაში „დენვერის“ წინააღმდეგ ითამაშა. მისმა გუნდმა 134:123 მოიგო, თავად სკოტიმ კი 47 ქულა (პირადი რეკორდი), 5 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა გააკეთა.

წინა კვირაში პიპენმა 63-დან 37 ბურთი ჩააგდო (58,7 პროცენტი), 18 სამქულიანიდან — 7 (38,9 პროცენტი), ხოლო 17 საჯარიმოდან 16 ისროლა ზუსტად (94,1 პროცენტი).

მეისონის საშუალო შედეგიანობა 23,5 ქულა, 10,5 მოხსნა, 7,3 პასი და 2 ჩაჭრა იყო. კვირის მოთამაშეობაზე პრეტენზიას აგრეთვე აცხადებდნენ: ენტონი უოქერი (ბოსტონი), გლენ რაისი (შარლოტი), ტაირონ ჰილი (კლივლენდი), ელდენ კემპბელი (ლეიკერზი), ტიმ ჰარდევეი (მაიამი), ჰორას გრანტი (ორლანდო), დერიკ კოულმენი (ფილადელფია), გერი პეიტონი (სიეტლი), კარლ მელოუნი (იუტა).

| ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი<br>საქართველო — საბერძნეთი 61:65 (38:32)<br>თბილისი. სპორტის სასახლე. 26 თებერვალი. 10 000 მაყურებელი<br>მსაჯები: კამენ ტოშევი (ბულგარეთი), ზბიგნევ ზემბლინსკი (პოლონეთი). | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ | საჯარიმო | | ფოლი |
| | | | | | | ხულ | ჩაგდება | |
| 4 თორთლაძე | 8 | 4 | 1 | — | — | — | — | 1 |
| 13 დადიანი | 3 | 1 | — | — | 1 | — | — | 5 |
| 7 სანაძე | 9 | 4 | — | — | — | — | — | 2 |
| 10 ნაცვლიშვილი | 11 | 7 | — | — | 2 | 4 | 1 | 5 |
| 6 სტეფანია | 14 | 9 | 1 | — | 1 | 10 | 6 | 4 |
| 15 ჩხეიძე | 12 | 3 | 1 | 1 | — | 5 | 4 | 4 |
| 12 ბერძენიშვილი | 2 | 4 | — | — | — | 2 | — | 1 |
| 14 ბეჟანიშვილი | 2 | 5 | — | — | — | — | — | 3 |
| ხულ | 61 | 37 | 3 | 1 | 4 | 21 | 11 | 25 |
| საბერძნეთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარ | საჯარიმო | | ფოლი |
| | | | | | | ხულ | ჩაგდება | |
| 10 ბუდურისი | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | 4 |
| 6 ხაძისი | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 5 | 1 |
| 8 სიგალასი | 7 | 3 | 2 | 2 | — | 6 | 4 | 4 |
| 11 ეკონომუ | 16 | 1 | — | — | — | 6 | 6 | 3 |
| 13 იანულისი | 9 | 5 | 1 | — | 2 | 2 | 1 | 2 |
| 15 კაკიუსისი | 3 | 1 | — | 1 | — | 2 | 1 | 1 |
| 4 ბაკაციასი | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 14 მირიუნისი | 12 | 11 | — | — | — | 2 | 2 | 4 |
| 12 ანგელიდისი | 3 | 1 | 1 | — | — | 2 | 1 | 1 |
| ხულ | 65 | 30 | 7 | 7 | 3 | 28 | 22 | 21 |


ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ვართ კი ღირსები?

ჯერ კიდევ წინა ტურის დამთავრებისთანავე საბერძნეთმა საქმე გაინაღდა — ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც გავიდა და ჯგუფშიც დაიბევა პირველობა. ამიტომაც იყო, უძლიერესი შემადგენლობა რომ არ გვაწვია: თბილისში არ ჩამოსულან ფასულასი, ხრისტოდულუ, ალვერტისი (ყველა სასტარტო ხუთეულის წევრია) და რენციასი. ამის შესახებ თქვა კიდეც ნაკრების კონსულტანტმა პანაიოტის იანაკისმა, რომელმაც თამაშს ახლახან დაანება თავი. მანვე იხუმრა თავის ყოფილ თანაგუნდელსა და ძმობილზე — ფასულასი დაბერდა და იმიტომ არ ჩამოვიყვანეთო. დაბერდა თუ არა ფასულასი, ეს სხვა საქმეა, მაგრამ გუშინ ბერძნებს მისი დონის მოთამაშე რომ არ ჰყავდათ, ესეც ფაქტია. მიუხედავად ამისა, მაინც დავმარცხდით. მართალია, ერთხანს 13 ქულითაც ვიგებდით, მაგრამ გამარჯვება მაინც ბერძნებს დარჩათ. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, თამაშის მსვლელობამ ლოგიკურად მიგვიყვანა ამ დასკვნამდე.

დაწყებით კი დიდებულად დავიწყეთ. ნაცვლიშვილმა და დადიანმა პირველსავე შეტევაში თითოჯერ დააფარეს მეტოქეს და ამით სასტარტო მღელვარებაც დასძლიეს. ბერძენთა ყველაზე საშიშ კაცს ჯორჯ სიგალასს დადიანი აედევნა. სტუმართა ლიდერი ნიკოს ეკონომუ არაფერს აკეთებდა გარდა იმისა, რომ ჯარიმდებოდა. მეოთხე წუთზე უკვე სამი პერსონალური ჰქონდა. პირველი ბურთი ბერძნებმა მეხუთე წუთზე ჩააგდეს, მაშინ, როცა 10:0 ვიგებდით. შეტევაში არაგვიშავდა, დაცვა კი რიგიანად დავერაზმეთ და სტუმრებს შუიდან ფარქვეშ შესვლის და პასის გაკეთების საშუალებას არ ვაძლევდით. ამ სიტუაციაში მოედანზე კაკიუსისი გამოვიდა და ცენტრად, იანულისის ადგილზე დადგა. ამ უკანასკნელმა კი მოედნიდან გასული ეკონომუს ადგილზე ჩაიწია. ტანმაღალ და სწრაფ ბერძენთა ტანდემი ფარქვეშ ამოძრავდა და ერთიორჯერ დროულადაც გაიხსნენ. ანგარიშმა შემცირება იწყო. ელინებმა თამაში გაგვიშალეს — შეტევისას დიდ ფართობზე ნაწილდებოდნენ და ჩვენი დაცვის დანაწევრებას ცდილობდნენ. ქართველთა დაცვა არ დაიბნა, დროულად გადაიდა ზონურიდან პერსონალურზე. სანაძე ზედიზედ ორჯერ დარჩა ცარიელი და ორჯერვე ზუსტად ისროლა სამქულიანი. ინიციატივა კვლავ ჩვენსკენ გადმოვიდა, ბერძნებს კი არაფერი გამოსდიოდათ. ვერ ივარგა გამთამაშებელმა ბუდურისმა, რომელიც აშკარად უგვიანებდა პასებს თანაგუნდელებს და სროლის დროსაც ცდებოდა. ჩვენებმა ფარის გაძლიერების მიზნით ბერძენიშვილი შემოიყვანეს და სტეფანიას შეუამხანაგეს, რამაც ერთხანს ხეირი მოგვიტანა. ბერძნები კი... ამ მომენტში გეგონებოდა, მოედანზე ევროპის მეოთხე გუნდი კი არა, ალბანეთის ან მონღოლეთის ნაკრებიაო.

ტაიმის დამთავრებამდე შვიდი წუთით ადრე 30:17 ვიგებდით. თითქოს სოლიდური სხვაობაა, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საბერძნეთზე გაცილებით სუსტ ისრაელს ამდენითვე ვუგებდით, მაგრამ ბოლოს მაინც წავაგეთ. ბერძნებს ზედიზედ შემოჰყავთ გამთამაშებელი ბაკაციასი და ფორვარდი ანგელიდისი, რომელიც შარშან ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ გუნდში. ბაკაციასის შემოსვლა მოუხდათ — ეს კაცი შეეცადა დაელაგებინა არეული თამაში, რომელიც ჩვენ უფრო გვაძლევდა ხელს და ნაწილობრივ მიაღწია კიდეც მიზანს. ანგელიდისი კი ერთობ დამძიმებულა და გაზანტებულა. სტეფანიამ აჯობა მას, მაგრამ მეტიც შეიძლებოდა. ისიც დავძინოთ, რომ გუშინ სტეფანიას თავისი საუკეთესო თამაში არ უთამაშია.

ზემოთ ნახსენებ არეულ თამაშში უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ უფრო დაწინაურება ვერ მოვახერხეთ. ერთი რომ, ბერძნებმა მძლავრი ზონური დაცვა დააყენეს, სამქულიანებში კი არ გაგვიმართლა. ამის შედეგად ოთხი წუთი ბურთი ვერ ჩავაგდეთ, ბოლოს კი ჩხეიძემ გატეხა ნავსი. ამასობაში სტუმრებმა აღადგინეს რგოლებს შორის დარღვეული კავშირი და მცირედით, მაგრამ მაინც წამოგვეწივნენ. ტაიმს ცხრაქულიანი უპირატესობით ვამთავრებდით, მაგრამ ბურთის ფლობისთვის განკუთვნილ ბოლო წამებზე ეკონომუს გაუმართლებლად ჩავაგდებინეთ სამქულიანი.

მეორე ტაიმი დაიწყო თუ არა, ნაცვლიშვილი ორჯერ დაჯარიმდა შეტევაში. ჯარიმა დადიანმაც მიიღო და უკვე სამ ქართველ მოთამაშეს — ნაცვლიშვილს, დადიანს და ჩხეიძეს ოთხ-ოთხი პერსონალური დაუგროვდა. ბერძნები შეტევაში მაგრად ცდებოდნენ, ელემენტარულ ბურთებს ვერ აგდებდნენ, ხოლო მათი სამქულიანები უბრალოდ უბადრუკი იყო. არადა, ამ გუნდს თითქოს ისტორიულად მოსდევს შორიდან კარგად მსროლელთა მუდმივი არსებობა (გალისი, იანაკისი, ხრისტოდულუ, იგივე სიგალასი).

მეტოქემ თავის მოედანზე მიმართა პრესინგს და სწრაფად ათამაშდა. ჩვენც ავყევით, მაგრამ ხეირის ნაცვლად უფრო ზარალი ვნახეთ. 26-ე წუთზე უკვე ერთ ქულას ვიგებდით — 42:41, ორ წუთში კი მთელი მონაგარი გავანიავეთ და ანგარიშიც გათანაბრდა — 45:45. ამის შემდეგ წინ ერთადერთხელ გავედით, მერე კი ბერძნებმა პრაქტიკული თამაშის მაგალითი გვიჩვენეს.

რა ჰქნეს ამისთანა ელინელებმა? განსაკუთრებული არაფერი. დაცვაში მკაცრი ზონა დააყენეს. შუიდან შესვლა გამოირიცხა. ფლანგების გასაკონტროლებლად გამწესებული ფორვარდები ავიწროებდნენ ჩვენებს და ერთთავად პირითი ხაზისკენ აიძულებდნენ ჩასვლას. ქართველები იძულებულნი იყვნენ ესროლათ, მაგრამ უხერხული პოზიციიდან ვერაფერს გახდნენ. ტემპი კვლავ მაღალი იყო. სამწუხაროდ, ჩვენს გუნდში არ გამოჩნდა კაცი, რომელიც რაიმე ხერხით ტემპს დააგდებდა და ბურთს „დაიჭერდა“. კვლავ მივყვებოდით ბერძნების მიერ შემოთავაზებულ რიტმს და სისწრაფე აჩქარებაში გადაგვდიოდა. ამან აღელვებაც გამოიწვია. ბერძენიშვილმა და ნაცვლიშვილმა ორ-ორი საჯარიმო გააცუდეს, მანამდე კი მირიუნისმა ფარქვეშიდან პირველად და საბოლოოდ დააწინაურა თავისი გუნდი. ბერძენთა ლიდერობა ამ პერიოდამდე უქმად მყოფმა ეკონომუმ იტვირთა: დაცვასაც ხელმძღვანელობდა და შეტევაშიც ჯერ სამქულიანი ჩააგდო, მერე კი ნახევარტრიალით მიაღწია მიზანს. ხუთი პერსონალურის გამო მოედანი დატოვა ნაცვლიშვილმა. მას მალე დადიანიც მიჰყვა, ოღონდ, ცოტა არ იყოს, საეჭვო ვითარებაში. ასე იყო თუ ისე, ექვსი (!) წუთი ბურთი ვერ ჩავაგდეთ და ფსიქოლოგიურადაც გავტყდით.

თორთლაძის სამქულიანმა თითქოს იმედი ჩაგვისახა (53:56), მაგრამ მომდევნო შეტევაში მსაჯებმა სტეფანიას განზრახ ჯარიმა დაუფიქსირეს. ეკონომუმ ორივე საჯარიმო ჩააგდო და ბურთიც ბერძნებს დარჩათ. დამთავრებამდე 1,24 წუთით ადრე კვლავ გამოკრთა იმედი: ჩხეიძემ ბურთიც ჩააგდო და მის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის განკუთვნილი საჯარიმოც —59:62. ჩვენები ზონურ პრესინგზე გადავიდნენ. სტუმრებმა, მართალია გაჭირვებით, მაგრამ მაინც გაგვირღვიეს იგი და სიგალასმა ერთი საჯარიმო ჩააგდო.

სამქულიანების იმედად ვრჩებოდით, მაგრამ ბერძნები ამის საშუალებას არ გვაძლევდნენ. სანაძემ (რომელსაც მთელი მეორე ტაიმი მჭიდროდ ეთამაშებოდა ხაძისი) მაინც გარისკა. რგოლსმოხვედრილი ბურთი ბეჟანიშვილს მიუვიდა. ამანაც ააცილა, მაგრამ მირიუნისი დაჯარიმდა. სამწუხაროდ, ბეჟანიშვილმა ორივე საჯარიმო გააფუჭა, თანაც გადმოვარდნილ ბურთზე ბრძოლისას სტეფანია დაჯარიმდა მირიუნისზე, ბერძენმა კი ორივე შანსი გამოიყენა — 59:65.

დამთავრებამდე 10 წამით ადრე, სამქულიანის სროლის დროს სტეფანიას უხეშად ეთამაშნენ და ვოვაც საჯარიმოს ხაზზე დადგა. სამიდან ორი ჩააგდო, ბურთიც ჩვენ დაგვრჩა, მაგრამ მეტი სროლის საშუალება ბერძნებმა აღარ მოგვცეს.

დაბოლოს, უცხო კაცისთვის რთული გასაგები იქნებოდა, საქართველოში იყო თამაში თუ საბერძნეთში. ტრიბუნებზე საბერძნეთის უამრავი დროშა ფრიალებდა, რომელთა დიდი ნაწილი ქართულად მოლაპარაკე ხალხს ეჭირა. ამ დროს, სადღაც დარბაზის კუთხეში საცოდავად მოჩანდა საქართველოს ერთადერთი დროშა. ვილაცისთვის ეს იქნებ უმნიშვნელო დეტალი იყოს, მაგრამ ხალხი, რომელიც ტრიბუნაზე მავან უცხოტომელებს ამგვარ უპირატესობას მისცემს, არ არის იმის ღირსი, რომ მისმა ნაკრებმა იმ უცხოტომელთა გუნდებს მოუგოს — გნებავთ კალათბურთში, გნებავთ ფეხბურთში და გნებავთ ლახტში.

## მატჩის შემდეგ

ათანასიოს პაპადიმიტრიუ, საბერძნეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

— დღეს ცუდი კალათბურთი გაჩვენეთ, ეს თქვენი მოთამაშეების დამსახურებაა. ძალზე დაძაბული მატჩი იყო. არ ვიცი, კმაყოფილი ხართ თუ არა თქვენი გუნდით, მაგრამ, ჩემი აზრით, თქვენებმა კარგად ითამაშეს. ჩვენ ძალზე ძლიერი ნაკრები გვყავს. კლასში სხვაობა დიდია და ამ დროს თამაში თანაბარი გამოვიდა. თქვენთან პირობები არ მომეწონა. ამ იატაკზე ძალზე ძნელია თამაში. პირველ ტაიმში ფარქვეშ ბრძოლა წავაგეთ.

— თქვენებიდან მომეწონა სტეფანია, განსაკუთრებით პირველ ტაიმში. [illegible] ეტყობა, სათანადოდ ვერ არის მზად ფიზიკურად და მეორე ნახევარში [illegible] დაეტყო.

— იანაკისი გუნდს ყოველთვის ეხმარებოდა. შემდგომაც ასე იქნება, მე გუნდს ფინალურ ეტაპზეც ვუხელმძღვანელებ, იანაკისი კი თავისი უდიდესი გამოცდილებით დაეხმარება.

— თქვენმა გუნდმა პირველი თამაშის შემდეგ საგრძნობლად მოუმატა. მოთამაშეები ვერც კი ვიცანი, ისე საგრძნობლად გაუუმჯობესებიათ თამაში.

პაპადიმიტრიუსს საინტერესო მეტი არაფერი უთქვამს და წარამარა იმას აღნიშნავდა, საბერძნეთის ნაკრები ძალიან ძლიერი გუნდია და პრეს-კონფერენციის დარბაზში ძალიან ცივაო. ამიტომაც, როდესაც ბერძენთა მწვრთნელმა დარბაზი დატოვა, გულდაწყვეტილი არავინ დარჩენილა.

ბესიკ ლიპარტელიანი, საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი.

— პირველ ტაიმში უფრო ლაღი თამაში იყო. ვფიქრობ, ბერძნები პირველი შეხვედრის მერე ჩვენი ნაკრების ასეთ თამაშს არ ელოდნენ. მეორე ტაიმში, როდესაც მოგვიჭირეს, გაგვიჭირდა. მათ დაცვა გააძლიერეს. შეამჩნიეთ, ალბათ, სანაძე თავისუფლად ვეღარ ესროდა სამქულიანებს, სტეფანია კი ფარიდან გამოდევნეს. ასეთ დაცვას ჩვენმა გუნდმა ვერ გაუძლო, დაიღალა და შეცდომებიც მომრავლდა.

— თამაშით კმაყოფილი ვარ. თავად ამჩნევთ, როგორ იზრდება გუნდი. შედარებაც არ შეიძლება ახლანდელი და ორი წლის წინანდელი გუნდისა. ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ასეთ ძლიერ გუნდთან ღირსეულად ეთამაშათ. ჩვენი ნაკრების კლასიც ამაღლდა. ამას ხელი შეუწყო „ვითას“ ევროპის საკლუბო ტურნირში გამოსვლამ.

— მოგებაც შეგვეძლო, ისე წარიმართა მატჩი, სასწორი ორივე მხარეს შეიძლებოდა გადახრილიყო. ჩვენებზე ძალზე იმოქმედა ნაცვლიშვილის ორმა შეცდომამ თავდასხმაში, რის შემდეგაც მან ხუთი პერსონალურის გამო დატოვა მოედანი. გადამწყვეტი იყო მსაჯის შეცდომაც, როდესაც მან განზრახ ჯარიმისთვის ოთხჯერ ასროლინა ეკონომუს და მანაც ოთხივე გამოიყენა.

— ძალზე გვაკლდა ლევან ქარაბაკი. დარწმუნებული ვარ, ის რომ გვყოლოდა, გამარჯვება შესაძლებელი იყო.

— ბერძნებს გამარჯვება არ სჭირდებოდათო, ამის თქმა არ შეიძლება. მაშინ ასე ჩვენზეც შეიძლება ითქვას. მათთან პროფესიონალური სისტემა მოქმედებს, თითოეულ მატჩში თითოეულ მოთამაშეს კონტრაქტით მაქსიმუმის გაკეთება მოეთხოვება.

— ვერ ვიტყვი, რომ პოლონელი არბიტრი მიკერძოებით მსაჯობდა, მაგრამ იმ საბედისწერო ეპიზოდში თუ მართალი იყო, მეც რომ წონასწორობიდან გამოვედი, ტექნიკური უნდა მოეცა, მან კი არ მომცა. ეს იმიტომ, რომ იცოდა, მართალი არ იყო.

— კმაყოფილი ვარ თორთლაძის თამაშით. მან თავისი მისია შეასრულა. შორიდან რომ არ სტყორცნიდა, ამას ვსაყვედურობდით, დღეს კი რამდენჯერმე შედეგიანად ისროლა. თუმცა მისგან უფრო მეტს ველით. კარგად ითამაშა დადიანმა, რომელმაც ბერძნების ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს სიგალასს, ფაქტიურად, ხელი არ გაანძრევინა. სტეფანიას თამაშითაც კმაყოფილი ვარ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ იგი თავის კლუბში 15-18 წუთს თამაშობს, ნაკრებში კი დიდი ხანი უხდება მოედანზე ყოფნა და ამას შეჩვეული არ არის, იღლება. ნაცვლიშვილმა კარგად ითამაშა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ძალზე ყურადღებით უნდა ყოფილიყო, რათა თავი მატჩის ბოლომდე შემოენახა.

— ჩვენმა გუნდმა, პრაქტიკულად, ნათლობა მიიღო. ჩვენ დიდი გეგმები გვაქვს. წელს ბევრი საინტერესო შეჯიბრი გველის. ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი, ჩვენ ახალგაზრდულ ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე უწევს გასვლა და მასში ბევრი ეროვნული გუნდის წევრიცაა. აგვისტოს ბოლოს უნივერსიადაზე გამოვალთ. შემოდგომაზე კი კვლავ ევროპის საკლუბო ტურნირები დაიწყება და ამ თამაშებში, ჩემი აზრით, ჩვენი გუნდი ისე გამოიბრძმედება, რომ შემდგომ ოფიციალურ შეჯიბრებებში გაცილებით მაღალ მიზნებს დაისახავს.

**მერაბ რატიშვილი**


გურამ ცოცხალაშვილის ფოტო

გია სანაძე ჯორჯ სიგალასის გვერდს ლამობს

# ქალური ამბები

შტეფი გრაფი საფუძვლიანადაა დაშავებული. მოიკითხა ჰაიდელბერგელი ტრავმატოლოგები და მუხლის სკანირება ჩაიტარა. ექიმებმა მსოფლიოს პირველ ჩოგანს 3-4 კვირით უქმობა ურჩიეს. ეს იმას მოასწავებს, რომ შტეფის გაუცდება ფედერაციის თასის (ფედ-ქაფი) პირველი წრე, რომელიც ამ უქმეებზე იმართება, და მარტის კიდევ ორი დიდი ტურნირი — ინდიან-ველზში (კალიფორნია) და კი-ბისკეინში (ფლორიდა).

გერმანია ფედ-ქაფზე მანჰაიმში ჩეხეთს მიიღებს. მასპინძლები უგრაფოდაც ფავორიტები იქნებოდნენ, რაკი ლიდერად მე-7 ჩოგანი ანკე ჰუბერი ეგულებოდათ, მაგრამ ამას ახლა მხარი გამიზეზებია. ერთი სიტყვით, ჩეხთა ლიდერ იანა ნოვოტნას, მე-3 ჩოგანი რომაა, აღარ უნდა ადარდებდეს ის, რომ ჰუბერთან ორი კვირის წინ პარიზის ჰერქვეშა პირველობაზე დამარცხდა.

და მაინც, შტეფის ტრავმა გუნდზე მეტად მისსავე რეიტინგს დაეტყობა. ქალთა პროფ-ასოციაციამ (ვტა) გამოთვალა და გუშინწინ გამოაცხადა, რომ თუ გრაფი ზემოთხსენებულ ორ ტურნირში ვერ დაიცავს შარშან მოხვეჭილ ტიტულებს, იმდენ ქულას დაკარგავს, რომ 31 მარტს პირველი ჩოგანი ველარ იქნება. მას გადაუსწრებს ამჟამინდელი მეორე ნომერი, 16 წლის შვეიცარელი მარტინა ჰინგისი, ვინც ორივეგან აპირებს თამაშს და გრაფის დასამხობად გამარჯვებები სულაც არ ჰირდება. მოკლედ, ამთავითვეა ცხადი, რომ ერთი თვის თავზე ქალთა ჩოგბურთს უმრწემესი დედოფალი ეყოლება. მაშინ ჰინგისი 16 წლის, 6 თვისა და 1 დღის იქნება. ეს ბევრად ნაკლებია სელეშის ალსაყრდების ასაკზე (17 წელი, 3 თვე, 19 დღე).

ჰინგისი წელს ჯერაც უძლეველია: 18 მატჩიდან ყველა მოიგო და ოთხ შეჯიბრშიც გაიმარჯვა. პროფესიონალი 1994 წლის 14 ოქტომბრიდანაა. ტურნირი პირველად შარშან, ოქტომბერშილა მოიგო — ფილდერშტადტში (გერმანია). გაიმარჯვა ოქლენდშიც (კალიფორნია). კიდევ სამგან გავიდა ფინალში, მათ შორის სეზონის შემაჯამებელ, ნიუ-იორკის ტურნირში. იქ გრაფთან ვაჟურ — 5-ხელა ომში დამარცხდა.

გრაფი კლასიფიკაციას თავში პირველად 1987 წლის აგვისტოში მოექცა. მაშინ შტეფიმ მარტინა ნავრატილოვა დაამხო, მაგრამ მერე და მერე სელეშს გადააბარა პირველობა. და მაინც, ბოლო 94 კვირაა, ქალთა მეუფე მაინც შტეფი იყო, სულ კი მისი ზეობა ჯერხნობით 373 კვირას გაგრძელდა, რაშიც გერმანელი უბადლოა.

ჰინგისი გრაფს არა მარტო პირველ ჩოგნობას წაართმევს, არამედ „ოპელისეულ" მზრუნველობასაც. „ჯენერალ მოტორსის" ამ ფილიალმა ერთი კვირის წინ გამოაცხადა, რომ ჰინგისს სამწლიანი სასპონსორო შეთანხმება გაუფორმა. თანხა საიდუმლოა. ისე კი, „ოპელი" თავის დროზე 10 წლით შეპირდა შტეფის მეოხებას — წელიწადში მილიონ დოლარს, მაგრამ 1995 წლის ოქტომბერში შეთანხმება აღარ განუახლა, რადგან შტეფის მამა პეტერი ფინანსური მაქინაციების გამო პასუხისგებაში მისცეს.

გრაფისა არ იყოს, ვერც ამერიკელ მონიკა სელეშსა და მამამის კაროის აქვთ საქმეები კარგად. მე-6 ჩოგანი ქალი მიზეზთა გამო ვერ თამაშობს, მის 63 წლის მშობელსა და იმავდროულად მწვრთნელს კი ისევ შეუტია კიბომ. კაროის ჯერ კიდევ ოთხი წლის წინ აღმოაჩნდა პროსტატისა და კუჭის სიმსივნეები, მაგრამ იმკურნალა და მოკეთდა. ამ კვირაში მავანი ჰოსპიტალიდან გაჟონა ცნობამ, რომ უფროს სელეშს კუჭის კიბომ შეუბრუნა და ქემოთერაპიის მორიგ კურსს იტარებს. შემდგომი დეტალების გამხელა ოჯახმა დააყადაღა.

იმავ დღეს სელეშებს გერმანიიდანაც უსიამო ცნობა მიუვიდათ. ჰამბურგის სასამართლომ მეორედაც უარყო მონიკას აპელაცია, რომლითაც იგი ჩიოდა, გიუნთერ პარხესთვის მისჯილი ორწლიანი პირობითი პატიმრობა მეტისმეტად ლმობიერი განაჩენიაო. ეს შერეკილი კაცი სელეშს 1993 წლის 30 აპრილს კორტზე გაუხტა და დანა ბეჭში ჩაცხო, აქაო და ჩემს კერპ გრაფს რად ჯობიხარო. ამის გამო მონიკას 28 თვე გაუცდა და ასპარეზს ნავრატილოვას დაჟინებითღა დაუბრუნდა.

ნავრატილოვა აშშ-ის ნაკრების ახალი კაპიტანია. სელეში კი გამოაკლდა, მაგრამ რაკი ლინდზი დავენპორტთან უბრადაა, სტუმრად, ჰაარლემში, ჰოლანდიასთან სათამაშოდ გუნდში არც ის შეიყვანა. აშშ ფედ-ქაფის 15-გზის მფლობელია, შარშანდელ ფინალში კი ესპანეთი დაამარცხა.

ესპანეთი სპრიმონტში უნდა ეწვიოს ბელგიას. ავსტრალიის პირველობაზე ერთმა ბელგიელმა, საბინე აპელმანსმა კონჩიტა მარტინესი ძლია, მეორემ, დომინიკ ფანრუსტმა კი — არანჩა სანჩესი. ვინიცობა ახლაც იგივე გამეორდეს. რაც შეეხებათ ფრანგ ქალებს — მარი პირსსა და კომპანიას, მათ ტოკიოში, იაპონიასთან თამაშში პირველად უწინამძღოლებთ ვაჟთა ნაკრების თმაგაჩეჩილი კაპიტანი იანიკ ნოა. ამისმა ბიჭებმა სამი კვირის წინ უსიტყვოდ წააგეს ავსტრალიასთან და დეკემბერში მოპოვებულ თასთან გამოთხოვება მოუწევთ.

ირაკლი ნინუა



ფორმულა 1

უკვდავები

# რჩეულთა რჩეული აირტონ სენა

ვინაა ფორმულა 1-ის ყველა დროის საუკეთესო პილოტი?

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ხუან მანუელ ფანხიო, 51 დიდი პრიზის მქონი ალენ პროსტი თუ ვინმე სხვა?

ეს საკითხი კარგა ხანია აწუხებთ ავტოსპორტის მოყვარულებს. მის გადაწყვეტას ართულებს ის, რომ სხვადასხვა ეპოქის პილოტები განსხვავებული ტექნიკური მახასიათებლებიან მანქანებს მართავდნენ. განსხვავებული იყო რბოლის პირობები და სიჩქარე. მეტოქეებიც ხომ სხვა ჰყავდათ.

სპეციალისტებმა მაინც მონახეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით მოხერხდა ავტოსპორტის გრანდების შედარება. ესენია მართვის ტექნიკა მშრალ ამინდსა თუ წვიმაში, ბოლიდის მომზადება, გამარჯვებისადმი სწრაფვა, სიმარდე, ქცევა არაორდინალურ სიტუაციაში, აგრესიულობა. რა თქმა უნდა, პირადმა სიმპათიებმაც ითამაშა როლი. საბოლოოდ საუკეთესო ათეული ასეთი გამოვიდა:

**1 აირტონ სენა (ბრაზილია). სამგზის ჩემპიონი (1988, 1990, 1991). 161 რბოლა, 41 გამარჯვება**




ამ კაცში იდეალურად იყო შერწყმული ერთი მხრივ, დიდი ავტომრბოლი, რომელიც იმარჯვებდა თანდაყოლილი ნიჭით, მართვის იდეალური ტექნიკით, სწორი გადაწყვეტილებით, მზადყოფნით, კონცენტრაციის სასწაული უნარით და მეორე მხრივ, ერთობ მომხიბლავი პიროვნება, რომელსაც არასპორტულ საკითხებზე საინტერესო აზრები ჰქონდა. სენა უმაღლესი სიჩქარით რბოლისას ავტომობილს იდეალურად გრძნობდა, თვით წვიმაშიც კი, და მუდამ ფათერაკს ეძებდა.

**2 ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა). ხუთგზის ჩემპიონი (1951, 1954-57). 51 რბოლა, 24 გამარჯვება**




ამის შესაძლებლობებზე მეტყველებს მსოფლიო ჩემპიონის ხუთი ტიტული. იგი თავისი ეპოქის აღიარებული სპორტსმენი იყო. მუდამ ახერხებდა უკეთ გამართულ მანქანაში ჩაჯდომას. ისე კი, 1950-იან წლებში, ნაკლები კონკურენციის გამო, ლიდერთა კომპანიაში მოხვედრა იქნებ დღევანდელზე უფრო იოლიც ყოფილიყო. ასეა თუ ისე, ფანხიო ავტოსპორტის სამყაროს უდიდეს პიროვნებადა და ჯენტლმენად დარჩა.

**3 ჯიმი კლარკი (ბრიტანეთი). ორგზის ჩემპიონი (1963, 1965). 72 რბოლა, 25 გამარჯვება**



ვეება ტალანტი, წარმოუდგენელი ნიჭი. ხანმოკლე კარიერამ საშუალება არ მისცა შესაძლებლობები სრულად გამოემჟღავნებინა. რეკორდსმენიც ვერ გახდა. პიროვნულად მეტად თავშეკავებული და მრავალი ღირსებით შემკული იყო.

**4 ალენ პროსტი (საფრანგეთი). ოთხგზის ჩემპიონი (1985, 1986, 1989, 1993). 199 რბოლა, 51 გამარჯვება**



უსწრაფესი როდი ყოფილა, მაგრამ გამოირჩეოდა გადასარევი სიზუსტით, გაანგარიშების იშვიათი უნარით. მისი ოსტატობა ხელოვნებას უდრიდა. მინიმალური რისკით მაქსიმალური შედეგის მიღწევა შეეძლო. შეცდომა თითქმის არასოდეს მოსვლია. არაჩვეულებრივი სიზუსტისა და ავტომობილის ანალიტიკური მართვის გამო კოლეგებმა „პროფესორი" შეარქვეს.

**5 ნიკი ლაუდა (ავსტრია). სამგზის ჩემპიონი (1975, 1977, 1984). 171 რბოლა, 25 გამარჯვება**



ავტოკატასტროფისა და ორწლიანი შესვენების შემდეგ დაბრუნდა და მაინც გახდა ჩემპიონი. ამის გამო განუმეორებელია. დიდი ღვაწლი მიუძღვის ფორმულა 1-ის უსაფრთხოების გაუმჯობესებაში. ამჟამად „ფერარის" კონსულტანტია.

**6 ჯეკი სტუარტი (ბრიტანეთი). სამგზის ჩემპიონი (1969, 1971, 1973). 99 რბოლა, 27 გამარჯვება**



პროსტივით ჩაფიქრებული ტიპი იყო. დიდი გენიოსი ვერ ეთქმოდა, მაგრამ მაინც გამოირჩეოდა ჭკუით. მისი თაოსნობით ფორმულა 1 თანამედროვე, პროფესიულ სპორტად იქცა.

**7 სტირლინგ მოსი (ბრიტანეთი). 66 რბოლა 16 გამარჯვება**

მარად მეორე! თუმც ჩემპიონი არასოდეს ყოფილა, „მხოლოდ" ოთხჯერ დაიკავა ჯამური მეორე ადგილი. მიუხედავად ამისა, თავისი ეპოქის უდიდეს პილოტთა შორის იხსენიება.

**8 ნელსონ პიკე (ბრაზილია). სამგზის ჩემპიონი (1981, 1983, 1987). 204 რბოლა, 23 გამარჯვება**



ცხოვრებისადმი ფუქსავატური დამოკიდებულების მიუხედავად, აბსოლუტური პროფესიონალიზმის ხანაში მაინც გახდა სამგზის ჩემპიონი. ამჟამად ბიზნესში იმზადებს კარიერას და ფულსაც უფრო მეტს შოულობს, ვიდრე მრბოლობისას.



**9 ჯეკ ბრებჰემი (ავსტრალია). სამგზის ჩემპიონი (1959, 1960, 1966). 126 რბოლა, 16 გამარჯვება**

გამორჩეულია არა მარტო სამგზის ჩემპიონობის გამო, არამედ იმითაც, რომ 50-იანი წლებიდან 70-იანამდე ელიტის წევრი იყო. არადა, ამ ხნის განმავლობაში ფორმულა 1-მა დიდი ევოლუცია განიცადა.

**10 ჟილ ვილნევი (კანადა). 67 რბოლა, 6 გამარჯვება**



ავტოსპორტის აბსოლუტური გენია იყო, შესანიშნავი ბოლიდი ყავდა და სტილიც მომხიბლავი ჰქონდა. ლეგენდარული ფიგურაა: გაფურჩქვნის ხანაში „ცოლდეზე" ვარჯიშისას დაიღუპა — მაშინ, როცა მეტის მიღწევის დრო დაუდგა. არ დასცალდა უფრო ეფექტურად გამოეყენებინა ის, რაც ისწავლა.

როგორც ხედავთ, ათეულში ვერ მოხვდა მსოფლიოს ბევრი ჩემპიონი და ავტოსპორტის ლეგენდა. სიაში არა წერიან თანამედროვე ლიდერებიც. ეს გასაკვირი არცაა, რადგან არც მიხაელ შუმახერს (გერმანია) და არც დეიმონ ჰილს (ბრიტანეთი) არ დაუმარცხებიათ არცერთი გრანდი, თუმცკი რამდენიმე საგულისხმო რბოლა გამართეს და ჩემპიონის გვირგვინიც მოიპოვეს, ოღონდაც ნაკლები კონკურენციის დროს. ერთმანეთსაც მეტწილად სწორად შერჩეული ტაქტიკით, პიტ-სტოპზე ანაც ბოლიდის დაშვებისას ასწრებენ. და მაინც, ამათ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ აქვთ და შეიძლება ზემოთ ჩამოთვლილ ათეულს მომავალში თავშიც კი მოექცნენ.

მსგავსი გამოკითხვა ფრანგებმაც ჩაატარეს ოღონდაც აზრი ცნობილ სპორტსმენებს: რალისტებს დიდიე ორიოლსა და არი ვატანენს, ველომრბოლ კლაუდიო კიაპუჩის, ჩოგბურთელ შტეფი გრაფს, კალათბურთელ მაიკლ ჯორდანს, ფეხბურთელ მიშელ პლატინის, მოთხილამურე ალბერტო ტომბას და მისთანებს კითხეს. რაკი რესპონდენტთა უმეტესობა ფრანგი იყო, შედეგიც შესაფერი გამოვიდა. მოწინავე სამეულში მოხვდნენ ალენ პროსტი (28 ქულა), აირტონ სენა (23) და ჟან ალეზი (12). ორგზის ჩემპიონი შუმახერი მხოლოდ ერთმა სპორტსმენმა დაასახელა, ორივე რალისტმა კი საუკეთესოდ სენა მიიჩნია (ვატანენმა — კლარკთან ერთად).

ალეკო ჭაბუკიანი



## ერთი შუმახერიც, ჯინა-მარია

წინა ხუთშაბათს, დილის 7-ის 15 წუთზე, კელნის მეზობელ ქალაქ ვიპერფიურთის წმ. იოზეფის სახელობის ჰოსპიტალში პირმშო (პირველი შვილი!) ეყოლა მიხაელ შუმახერის ცოლ კორინას. გოგო ორი კვირით ადრე დაიბადა, მაგრამ ჯანმრთელია. 28 წლის მამა ამ დროს მუჯელოში (იტალია) ცდიდა ახალ „ფერარის", მაგრამ გასახარი ამბავი რომ შეიტყო, ერთკვირიანი არდადეგები მოიწყო და შინ გაემგზავრა.

„სარბიელში"
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29